საქ[redacted]ოს სოციალდემოკრატიული პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ივ. გომართელი

საქართველოს ტერიტორიალური
ავტონომია
ანუ
ეროვნულ-ტერიტორიალური
თვითმართველობა

თბილისი
„ხალხის თავისუფლებისა“ რედაქ. გამოცემა № 1
1917

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

იგ. გომართელი

38400

საქართველოს ტერიტორიალური
ავტონომია
ანუ
ეროვნულ-ტერიტორიალური
თვითმართველობა

Библиотека Акад. Н. Марра Академия наук ГССР

თბილისი
„ხალხის თავისუფლების“ რედაქ. გამოცემა № 1
1917

წინასიტყვაობა

ამ წიგნაკში მოთავსებული წერილები ნაწილია მისი, რაც მიწერია ავტონომიის შესახებ.

ამ წიგნაკს სახეში ჰყავს სოფლისა და ქალაქის მუშა ხალხი.

მისი მიზანია სოფლისა და ქალაქის მუშებს დაანახოს, შეაგნებიოს, რომ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია მათთვის სასარგებლოა და მისაღები.

ივ. გომართელი.

სტამბა „სოლოპანი"

ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისათვის

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელეა, უთქვამს ხალხს.

ეს ძალიან კარგათ ესმოდა ძველ მთავრობას და სდევნიდა სწავლა-განათლებას, რომ ხალხში—სოფლისა და ქალაქის მუშებში—სიბნელე ჰყოფილიყო.

ამ სიბნელით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხი ჩვენს სოფლებში გაიძახის: არ გვინდა ავტონომიაო.

ხალხმა არ იცის, თუ რა არის ავტონომია; ხალხს არ გააგებიეს, არ უთხრეს სიმართლე ავტონომიის შესახებ.

ამ წერილის მიზანია, ხალხს სრული ჰეშშარიტება უთხრას ავტონომიის შესახებ.

რა არის ავტონომია?

ბატონყმობაა, ეუბნებოდენ ხალხს პრაპაგანდისტები.

რა არი ავტონომია?

საკუთარი მეფის არჩევა�ა, ეტყუებდენ ხალხს.

რა არის ავტონომია?

რუსეთისაგან ჩამოშორებაიაა,—უხსნიდენ ხალხს.

ავტონომია არც ბატონყმობაა, არც საკუთარი მეფე, არც რუსეთისაგან ჩამოშორება.

აი უბრალო მაგალითი.

ფინეთს აქვს ავტონომია.

იქ არც ბატონყმობაა, არც საკუთარი მეფე და არც მოწყვეტილი არიან ამის გამო ფინელები რუსეთს.

ფინეთი არის რუსეთის ნაწილი, ემორჩილება რუსეთის მთავრობას; იქ არის რუსეთის ჯარი, რომელიც ყოველთვის დაიფარავს ფინეთს გარეშე მტრის შემოსევისაგან. ხოლო თავის შინაურ ცხოვრებაში ფინეთის ხალხი თვითონ აწესრიგებს თავის საკუთარ საქმეებს თავისივე ამორჩეული კაცების შემწეობით.

მერე იცით, ვინ იყო ავტონომიის მტერი, ვინ სდევნიდა მას!—რუსეთის ძველი მთავრობა.

რატომ ემტერებოდა ავტონომიას ნიკოლოზის მთავრობა?

იმიტომ, რომ ავტონომია ხალხისთვის სასარგებლოა. ავტონომია რომ ხალხისათვის საზარალო იყოს, მავნებელი, მაშინ ძველი მთავრობა სუყველას ავტონომიას მოგვცემდა. როგორც კი ძველი მთავრობა დაემხო, რუსეთის ყველა ჰატარა ერმა—აი ჩვენისთანა ერებმა—ავტონომია მოითხოვეს; სოფლისა და ქალაქის მუშებმა ყველგან დაიძახეს: ავტონომია გვინდაო.

ჩვენში კი იძახიან: არ გვინდა ავტონომიაო! იძახიან, რადგანაც არ იციან. რას ამბობენ,

მართლა და რას ნიშნავს ავტონომია?

ავტონომია ბერძნული სიტყვაა და ჩვენებურათ ნიშნავს საკუთარ კანონ-მდებლობას ანუ საკუთარ მართვა-გამგეობას, თვით-გამგეობას.

ვთქვათ შეიკრიბა ორი-სამი სოფელი. ამოირჩია რამოდენიმე კაცი, ჩააბარა მათ ფული და დაავალა სოფლის საქმეების გაკეთება. არჩეულმა პირებმა გააკეთეს სოფლის გზები, გაიყვანეს სარწყავი არხები, ააშენეს სკოლის შენობა და მოიწვიეს მასწავლებელი. ააშენეს აფთიაქი და მოიწვიეს ექიმი, ფერშლები და სხვა და სხვა.

გავიდა ერთი წელიწადი. არჩეულმა პირებმა სოფლის ყრილობას წარუდგინეს ანგარიში, რა გააკეთეს, რაში რა დახარჯეს. ყრილობამ მოიწონა და დაამტკიცა მათი ანგარიში, გააწერა ყველას გადასახადი და ისევ ძველ არჩეულ პირებს მიანდო შემდეგი წლისათვის სოფლის საქმეების წარმოება ან ახლები აირჩია.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ სოფელი თვითონ აკეთებს თავის სოფლის საქმეებს თავის არჩეული კაცების შემწეობით.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ორი-სამი სოფელი კა არ შეიკრიბა, არამედ ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, ერთის სიტყვით მთელი საქართველო, ქართველი ერი; ამოირჩია ყველამ სანდო კაცები დეპუტატებათ და ჩააბარა მათ მთელი საქართველოს შინაური საქმეები.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ მთელი ქართველი ერი თვითონ აკეთებს თავის საკუთარ საქმეებს თავისი არჩეული კაცების შემწეობით.

ბატონყმობა არის ეს?

რასაკვირველია არა.

საკუთარი შეფის დაყენებაა ეს?
რა საკადრისია ამისთანა ტყუილი!
რუსეთთან ჩამოშორებაა ეს?
რასაკვირველია არა.
მაშ რა არის?
აი ეს არის **ავტონომია**.

ჩვენზე ნასწავლი კაცები განათლებულ ქვეყნებში საქმის ასე მოწყობას ავტონომიას უძახიან და ჩვენშიაც მიტომ ვხმაროობთ ამ სიტყვას, თორემ შეგვიძლია, დავარქვათ **თვითმართველობა** ან სხვა სახელი.

იმ სანდო პირებს, რომელსაც ხალხი ირჩევს და ქვეყნის საქმეებს ჩააბარებს, ეწოდება დეპუტატები. ამ დეპუტატების კრებულს ეწოდება პარლამენტი ან სათათბირო, რადგანაც ისინი ერთად შეიკრიბებიან, ერთ შენობაში და ერთად მსჯელობენ, თათბირობენ თავისი ქვეყნის საქმეებზე. ამგვარ შენობას ეწოდება სათათბიროს ანუ პარლამენტის შენობა.

სად, რომელ ალაგს უნდა იყოს ეს შენობა, ესე იგი სად უნდა იკრიბებოდნ დეპუტატები?

იქ, სადაც არის უმთავრესი ადგილი **ანუ**

შუაგული მთელი ქვეყნისა. ასეთ ალაგათ ითვლება სატახტო ქალაქი, დედაქალაქი.

ჩვენი დედაქალაქია თბილისი, რომელსაც ჩვენი ხალხი ქალაქს უწოდებს.

ქართველი ერის პარლამენტიც თბილისში უნდა იყოს, აქ უნდა იკრიბებოდენ ჩვენი დეპუტატები.

ვინ აირჩევს ჩვენში ამ დეპუტატებს?

მთელი ხალხი, მთელი ქართველი ერი. ერთი მეორეზე მეტნაკლები უფლება ალარავის ალარ ექნება. თავად-აზნაური აქ ველარ იბატონებს.

ყოველ ადამიანს—ქალსა და შამაკაცსა ოცი წლიდან მოკიდებული უფლება ექნება, არჩევნებში პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა, თუ კი ის ყაჩალი და ავაზაკი არ არის. ყველას ერთი ხმა აქვს—თავადსაც, გლეხსაც, აზნაურსაც.

თუმცა თავადობა, აზნაურობა და გლეხობა ძველი მთავრობის მოგონილი იყო და ეს სახელები ძველ მთავრობასთან ერთათ მოისპო, ახლა „ბრწყინვალე“ და „კეთილშობილი“ ალარ არის: ყველა თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეა.

არჩევნები მოხდება მთელს საქართველოში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით

რას ნიშნავს ეს?

სულ უბრალოდ რამეს.

არჩევნებში ყველა მიიღებს მონაწილეობას, ყველას თანასწორი უფლება ექნება, ყველა თითონ გამოცხადდება საარჩევნო ყუთებთან და ვისაც უნდა თეთრს ჩაუგდებს, ვისაც უნდა შავს, ხოლო ისე, რომ სხვებმა ვერ დანახონ, ვის როგორ კენჭს აძლევს. ეს იმიტომ არი საჭირო, რომ ხათრით და მორიდებით ისეთი კაცი არ ავირჩიოთ, რომელიც არ მოგვწონს.

წლიდან წლამდე რომ დეპუტატები ისხდონ და თათბიროობდონ, საჭირო არ არის. ისინი შეიკრიბებიან დრო და დრო. სხვა დროს კი თავთავის სახლს დაუბრუნდებიან.

პარლამენტი ამოირჩევს დეპუტატებიდან რამოდენიმე კაცს და იმათ ჩააბარებს ქვეყნის საქმეებს. ესენი წარმოადგენენ მთავრობასა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელნი არიან. მთელი საქართველოს საქმეები ამათ უნდა აწარმოვონ. ხოლო თუ მათი მოქმედება პარლა-

შენტმა არ მოიწონა, გადადგებიან და მათ ალ-აგას სხვებს აირჩევენ.

რომ არ გადადგონ?

მაშინ პარლამენტი ძალით გადააყენებს, მორჩა და გათავდა.

პარლამენტი რაღას აკეთებს?

ის შეიმუშავებს სხვა და სხვა კანონებს, შეასწორებს ძველს, გამოიკვლევს, სად რა არის გასაკეთებელი და საქართველოს რომელ კუ-თხეს რა ესაჭიროება, განიხილვას მთავრობის მოქმედებას, თუ რა გააკეთა, როგორ გააკეთა ან რაში რამდენი დაიხარჯა; მისცემს მთავრო-ბას ახალ საქმეებს, შეადგენს მთელი წლის ხარჯთ-აღრიცხვას და გააწერს მცხოვრებლებს ხარჯს.

რისთვის არის საჭირო ეს ხარჯთ-აღრი-ცხვა?

პარლამენტმა უნდა იცოდეს, რა არის წლიური შემოსავალი, რომ ამის და მიხედვით გააკეთოს სხვა და სხვა საქმე.

უფულოთ საქმე არ გაკეთდება; ჩვენს პა-რლამენტს კი ბევრი საქმე ექნება; ამიტომ შე-მოღებული იქნება გადასახადი, რომელიც ყვე-ლამ უნდა გადავიხადოთ ყოველ-წლიურათ.

ეს ფული მოხმარდება ქვეყნის საქმეს. ერთი კაპეიკი არ დაიკარგება, არც შეიჭმება.

რა ექნება გასაკეთებელი ჩვენს პარლამენტს, ჩვენს მთავრობას?

ერთი დიდი საქმე იქნება სწავლა განათლება: ყოველ სოფელში იქნება პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, ყოველ დაბაში საშუალო სასწავლებელი. პირველ-დაწყებითი სწავლა იქნება სავალდებულო; ამიტომ უსწავლელი არავინ არ დარჩება.

ჩვენში ყველგან გაიხსნება ისეთი სასწავლებლები, სადაც სოფლის ახალგაზრდობა მიიღებს გამოსადეგ ცოდნას, შეისწავლის მებაღეობას, მელვნების აბრეშუმის მოყვანას და სხვა.

ჩვენი ხალხი რომ ყოველივე ამას შეისწავლის და განათლდება, რასაკვირველია, უკეთ იცხოვრებს, ვიდრე დღესა ცხოვრობს.

მეორე დიდი საქმე იქნება ჯანმრთელობისთვის ზრუნვა.

ჩვენი სოფელი რიგიან საექიმო დახმარე-

ბას მოკლებულია, უმეტესი წილი სოფელში უპატრონობითა და მოუვლელობით იხოცება. გაჭირვებული ავადმყოფი ჩამოვა ქალაქში, იქნება საავადმყოფოში მიმიღონო; უალაგობისა გამო არსად არ ღებულობენ, იცდის, სანამ არ შამოეხარჯება ორიოდე გროში და უნდა დაბრუნდეს სოფელში მოურჩენელი და ჯიბე-დაცარიელებული.

ჩვენ რომ ავტონომიას მივიღებთ, სოფლებში, დაბებში და ქალაქებში გაიხსნება საუკეთესო საავათმყოფოები, სადაც ხალხისათვის სულ პატარა ფასში ყოველგვარი საექიმო დახმარება იქნება და მოუვლელობის და უპატრონობის მსხვერპლი ალარავინ ალარ გახდება.

მესამე დიდი საქმე იქნება რკინის გზები და მოკენჭილი გზები (შოშია).

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეები—ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, აბხაზეთი ერთმანერთს რკინის გზებით უნდა შეუერთდეს.

მეოთხე დიდი საქმე იქნება მეურნეობის გაუმჯობესება. სოფლის ხალხს მიეცემა შელავათიან პირობებში სამეურნეო იარაღები, მიწის გასანაყოფიერებელი სასუქი, სესხი, მთავრობა

გააშრობს და გაანოყიერებს ჭაობიან ადგილებს, გაიყვანს სარწყავ არხებს; მოიწვევს მეურნეებს, რომლებიც შეასწავლიან ხალხს სხვადასხვა ბალახის მოყვანას, საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენებას, ვენახის მოვლას, ხეხილისას და სხვ.

მეხუთე დიდი საქმე იქნება მუშა ხალხის დაზღვევა. ოჯახის მარჩენალი მუშა როდესაც სნეულდება, სახიჩრდება ან კვდება, ოჯახი ულუკმა პუროთ რჩება დღეს. ავტონომიურ საქართველოში ასე აღარ იქნება. მუშები იქნებიან დაზღვეული და მათი უბედურობის დროს ოჯახს სარჩო მიეცემა.

მეექვსე დიდი საქმე იქნები ქვრივ-ობოლთა და უპატრონო დავრდომილთათვის ზრუნვა: ავტონომიურ საქართველოში იქნება სხვადასხვა დაწესებულება და თავშესაფარები, სადაც ამისთანა უბედურებსა და უპატრონოებს მიიღებენ, მოუვლიან, ყურს უგდებენ, აჭმევენ და შემოსვენ.

ყველა ამათ გარდა არის ძალიან ბევრი საქმე—ხალხის გამოკვებისათვის ზრუნვა მოუსავლობის დროს, საქონლის ექიმობა, სამკურნალო წყლების მოვლა, ტყის დაცვა და სხვ.

როგორ იქნება სამართლის წარმოება ავტონომიური საქართველოში?

მოსამართლეებს ამოირჩევს ხალხი. საქმის გარჩევა იქნება ქართულათ. ცრუ მოწმობას, მექრთამეობას ალაგი ალარ ექნება და სიმართლე ყოველთვის გამარჯვებული დარჩება.

ამდენი საქმის გაკეთებას რასაკვირველია დიდი ხარჯები უნდა.

ხარჯის დასაფარავად სხვადასხვა წყარო იქნება. გადასახადიც აუცილებელია, მაგრამ მაშინ მეტი გადასახადი იმას მიეწერება, ვისაც მეტი ქონება და ან შემოსავალი აქვს.

როგორი იქნება პოლიცია?

პოლიციას ამოირჩევს ხალხი. ამიტომ პოლიციის მიერ მათრახების ტრიალი, ცემა-ტყეპა და ქრთამებით ხალხის ტყავება მოისპობა. ქურდობა და ავაზაკობა მეტათ შემცირდება.

რა წოდებები იქნებიან ავტონომიურ საქართველოში?

ალარც თავადი იქნება, ალარც აზნაური, ალარც გლეხი. კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნება. მთელი ქართველი ერი შეადგენს მხოლოდ ერთ წოდებას—თავისუფალ თანასწორ მოქალაქეებს.

როგორ იქნება მიწა განაწილებული ავტონომიურ საქართველოში?

მიწა იქნება მიწის მუშის საკუთრება. დიდი-მემამულეების, სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო მიწები გადავა ავტონომიური მთავრობის ხელში. მთავრობა კი ყოველ ჩვენს კუთხეში ამ მიწებს დაურიგებს იმათ, ვინც მიწას მუშაობს.

როგორი იქნება სოფლის ცხოვრება ავტონომიურ საქართველოში?

მრეწველობა, მეურნეობა და ვაჭრობა აყვავდება, სწავლაგანათლება გავრცელდება; სოფლებში ფაბრიკები და ქარხნები გაიხსნება. სოფელი განათლდება და გალამაზდება. სოფლის ხალხი სწავლას შეიძენს, ცოდნას, ქონებას და ნაკლების შრომით გაცილებით უკედ იცხოვრებს, ვიდრე დღესა ცხოვრობს.

რა ფული იქნება ავტონომიურ საქართველოში?

იგივე, რაც დღეს არის ჩვენში—რუსული ფული.

ჩვენ რომ ავტონომია მივიღოთ, სად წავლენ ჩვენებური რუსები, სომხები და სხვები?

არსად, ჩვენთანვე დარჩებიან. თავის საქთმეს განაგრძობენ და ვიცხოვრებთ ძმურად და მეგობრულათ. ისინიც ისეთივე თავისუფალი

მოქალაქენი იქნებიან საქართველოსი, როგორც ჩვენ.

რა დამოკიდებულება ექნება ავტონომიურ საქართველოს რუსეთთან?

ავტონომიური საქართველო იქნება რუსეთის სახემწიფოს ნაწილი, ისე როგორც დღეს რუსეთის მთავრობა იქნება ჩვენი უმაღლესი მთავრობა. რუსეთის მთავრობა დაგვიფარავს ჩვენ გარეშე მტრის შემოსევისაგან, ასე რომ ჩვენს ოკლება-აწიოკებას ვერავინ გაჰბედავს.

რუსეთის მთავრობა იქნება ჩვენი ცხოვრების თვალყურის მდევნელი და ჩვენს შინაურს ცხოვრებაში ჩაერევა ყოველთვის, თუ რომ ჩვენმა ადგილობრივმა მთავრობამ კანონები დაარღვია.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია

კომუნისტურ მანიფესტში, რომელიც ყოველი მუშისათვის სახარებას უნდა წარმოადგენდეს, არის ყველას მიერ ცნობილი სიტყვები: ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით.

თუ ისე გავიგეთ ეს სიტყვები, თითქოს მარქსი და ენგელსი საჭიროთ სთვლიდენ მუშათა კლასის გაძარჯვებისათვის ეროვნული სამ-

ზღვრების წაშლას, ეროვნული სხვადასხვაობის მოსპობას, დიდი შეცდომა იქნება.

ყველა ქვეყნის პროლეტარებს ერთი საბოლოო მიზანი აქვთ: ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობა და სოციალისტური წყობილების დამყარება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო მაგალითად, რომ საფრანგეთისა და გერმანიის სამზღვრები წაიშალოს და საფრანგეთი გერმანიას შეუერთდეს ან გერმანია საფრანგეთს.

ასეთი შეერთება მუშათა კლასის საბოლოო მიზანს უფრო ზიანს მოუტანს, რადგანაც ამ მიზნის განხორციელებას ასე თუ ისე შეაფერხებს ეროვნული ბრძოლა.

მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი საფრანგეთის სამზღვრებში ჰმოქმედობს, გერმანიისა გერმანიის სამზღვრებში, ორივე ერთად ახორციელებენ პროლეტარიატის საერთო მიზანს—სოციალიზმის დამყარებას.

რაც ითქმის დამოუკიდებელი ერის პროლეტარიატზე, იგივე ითქმის დამოკიდებული ანუ შეერთებული ერის პროლეტარიატის შესახებ.

წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ საქართველო არ შეერთებია რუსეთს და დღემდე მან შეინარჩუნა თვისი დამოუკიდებლობა. ჩვენ პროლეტარიატის საბოლოო მიზნის გასამარჯვებლათ საჭირო იქნებოდა, რომ ჩვენი სავე ხელით ჩვენი დამოუკიდებლობა მოგვესპო და რუსეთს შევერთებოდით?

არა და არა.

ამ გვარი მოთხოვნილება არც ერთი თავისუფალი ქვეყნის პროლეტარიატს არ მოსწლია აზრათ.

დღევანდელს პირობებში, როდესაც ჩვენი საშშობლო წარმოადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, ჩვენი პროლეტარიატის საბოლოო მიზნისათვის და საკეთილდღეოთ საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ქვეყნის მარდვა-გამგეობა პეტროგრადიდან სწარმოებდეს?

ჩემის აზრით ეს სრულებით არ არის საჭირო.

რუსეთის ნაწილს მარტო საქართველო კი არ შეადგენს; რუსეთის ნაწილია პოლონეთი (დღემდე იყო მაინც); რუსეთის ნაწილია ლიტვა, რუსეთის ნაწილია უკრაინა და სხ.

პოლონეთის სოციალდემოკრატები ითხოვ-

დენ პოლონეთის ტერიტორიალურ ავტონომიას და ღღეს ისეთი ხანა დადგა, რომ პოლონეთში სოციალდემოკრატებიცა და უკიდურესი ნაციონალისტებიც დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ. ლიტვაში სოციალდემოკრატები ლიტვის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ.

უკრაინის სოციალდემოკრატია ითხოვს უკრაინის ტერიტორიალურ ავტონომიას და პეტროგრადის მუშათა საბჭოს წევრი სოციალდემოკრატი სოკოლოვი საჯაროთ აცხადებს: უკრაინამ ავტონომია უნდა მიიღოსო.

აქედან ცხადია შემდეგი: თუ პოლონეთში, ლიტვაში, უკრაინაში პროლეტარიატის ინტერესი არ მოითხოვს ამ ქვეყნების მართვა-გამგეობას პეტროგრადიდან ანუ ცენტრალისტურ დამოკიდებულებას, ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არც ჩვენი პროლეტარიატისათვის არის საჭირო. აქედანვე აშკარავდება შემდეგი დებულება: თუ ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის სოციალდემოკრატიული პარტიის პრინციპებს, არც ჩვენში იქნება პრინციპების ღალატი, რომ ჩვენმა სოციალდემოკ-

რატიამ საქართველოს ტერიტორიალური ავ-
ტონომია მოითხოვოს.

პოლონეთში ტერიტორიალური ავტონო-
მიას მარტო სოციალდემოკრატიული პარტია
კი არ მოითხოვდა, მოითხოვდენ სხვა პარტიე-
ბიც. მიუხედავათ ამისა იქაურ მუშებს სრულე-
ბითაც არა ჰქონიათ შიში: ავტონომიის მოთ-
ხოვნილებით სხვა პარტიებში გავითქვიფებით
და ჩვენს სახეს დავკარგავთო.

ჩვენში კი ყოველი შეგნებული მუშა და-
რწმუნებულია, ავტონომია რომ მოვითხოვო,
ფედერალისტათ გადავიქცევი და ჩემს რწმენას—
სოციალდემოკრატიულ პარტიას ვუღალატებო.

მუშათა კლასი და სოციალდემოკრატიუ-
ლი პარტია როგორც ყველგან ისე ჩვენში იმ-
დენათ გარკვეულ სახეს ატარებენ, მათი პრო-
გრამა იმდენათ ჩამოყალიბებულია და მათი მე-
ცნიერული საფუძველი იმდენათ მკაფიო და თა-
ვისებური, რომ ეროვნულ საკითხში რა გზაც
უნდა აირჩიონ, მათ საკუთარ პარტიულ სახე-
ში ეს ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს და
ამ გვარი შიში სრულებით უსაფუძვლოა.

ტერიტორიალურ ავტონომიას ჩვენში თა-

მერე რა ვუყოთ? მოითხოვონ!

დღეს რუსეთში კადეტები დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ.

მაშ პროლეტარიატი უნდა გამოდგეს და იყვიროს: მე არ მინდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რადგანაც მას კადეტები თხოვილობენო?

ამ გვარი შიში არის ნაყოფი ყალბი აზროვნებისა და დროა, მას გამოვეთხოვოთ.

სხვაგან, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში სოციალდემოკრატია იზიარებს სხვა პარტიების ეროვნულ პროგრამას და ამის გამო სრულებითაც არ ეშინია მას, ჩემი სახე არ დავკარგო და სხვა პარტიებში არ გავითქვიფოვო. ჩვენში კი ყოველი ჩვენგანი ცდილობს, არასფერში არა ჰგავდეს სხვას, არასფერი არ ჰქონდეს სხვასთან საერთო და მუდამ ერთის შიშით არის შეპყრობილი: სხვასთან მზგავსება რომ ალმოაჩნდეს, მაშინ ხომ ჩემი რწმენის მოღალატე გამოვდექიო.

ხშირათ გამიგონია მუშებისაგან: ჩვენ და რუსის მუშებს ერთი მიზანი გვაქვს, ამიტომ ერთმანერთს ვერ დავშორდებით; ავტონომია კი დაგვაშორებსო.

ამგვარ მოსაზრებას რომ საფუძველი ჰქონდეს, მაშინ მას პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის მუშებიც წამოაყენებდენ და ტერიტორიალურ ავტონომიას უარჰყოფდენ, მაგრამ ისინი ასე არ ირჯებიან,—პირიქით, ტერიტორიალურ ავტონომიას დაჟინებით მოითხოვენ.

თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რომ რუსეთის პროლეტარიატი უამისოთ თავის მიზანს ვერ მიაღწევს,—ეს იქნებოდა პამპულასებური გაბერვა საკუთარი ძალლონისა.

ან თუ იმას ფიქრობს ჩვენი მუშა ხალხი, რუსეთის პროლეტარიატი თუ არა ისე ჩემს მიზანს ვერ განვახორციელებო, ესეც ნამეტანი დამცირება იქნება საკუთარი ძალლონისა.

აქ სიმართლეც რომ იყოს, ტერიტორიალური ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას კი არ ნიშნავს,—ჩვენი მფარველი ისევ რუსეთი იქნება და ჩვენი დემოკრატიული წყობილების დარაჯი გარდა ჩვენი დემოკრატიისა რუსეთის პროლეტარიატიც იქნება.

ყოველი ერის პროლეტარიატი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ახორციელებს თავის მიზანს.

ასტრონომი პარიზიდან იკვლევს ცას, პე-

ტროგრადიდან, ბერლინიდან, თბილისიდან თუ ნიუიორკიდან,—სულ ერთია—ის ემსახურება ერთ დარგს მეცნიერებისას.

სწორედ ასეა პროლეტარიატიც: საფრანგეთში იბრძვის ის, ინგლისში, გერმანიაში თუ რუსეთში, სულ ერთია, ის ემსახურება პროლეტარიატის საერთო საქმეს.

ერთი ქვეყნის პროლეტარიატს არ შეუძლია მთელი დედამიწის საქმე გააკეთოს, მთელ კაცობრიობას გასწვდეს. არც არის აქ ეს საჭირო. რაკი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ერთი მიზანი აქვს, დეე ყველამ თავისი ქვეყნის სამზღვრებში იმოქმედოს. შეერთებული მოქმედება ყველასი ახორციელებს საერთო მიზანს. მხოლოდ ასე შეიძლება გაგება და ახსნა სიტყვებისა: ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდითო, და არა ისე, თითქოს საჭირო იყოს ეროვნულ ტერიტორიალური სამზღვრების უარყოფა.

ქართველი მუშა ხალხი პროლეტარიატის საერთო მიზანს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მიწაწყალზე ახორციელებს.

ამიტომ თუ ის ეცდება, ამ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისეთი უფლებები მოიპოვოს, რომ მისმა მოქმედებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს,

ამით მუშა ხალხი კი არ ჩამოშორდება თავის მიზანს, უფრო სწრაფის ნაბიჯით გასწევს იქითკენ. ჩვენ რომ მოვიპოვოთ ტერიტორიალური ავტონომია, ჩვენს სამზღვრებში მოექცევიან სხვა ერებიც. შესაძლებელია ჩვენ ისინი შევავიწროვოთ, შევზღუდოთ და მაშინ ავტონომიის წყალობით ჩვენი სამშობლო გადაიქცევა ეროვნული მტრობისა და სიძულვილის ასპარეზად. ეს კი მუშა ხალხის საერთო საქმეს ხელს შეშლის.

ამგვარი შიში არსებობს მუშათა წრეში, მაგრამ ეს შიში სრულებით უსაფუძვლოა.

საქმე იმაშია, რომ ტერიტორიალური ავტონომია თვითმპყრობელობა ხომ არ არის ან ბატონყმობის აღდგენა, როგორც ზოგიერთი ჩვენი პროპაგანდისტი „ანათლებდა“ ჩვენს სოფელს.

ტერიტორიალურ ავტონომიას სარჩულათ ედება დემოკრატიული წყობილება. ტერიტორიალურ ავტონომიაში გამეფებული იქნება დემოკრატია და არა თავად-აზნაურობა. ყოველი ნაბიჯი ჩვენი დემოკრატიისა დემოკრატიული იქნება და არა დემოკრატიის საწინააღმდეგო. ამიტომ სრულებით უსაფუძვლოა ის შიში,

თითქოს ჩვენი დემოკრატია შეავიწროებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს.

ავტონომიურ საქართველოში მცხოვრები ყველა ერები იქნებიან ისეთივე უფლებიანი და თავისუფალი მოქალაქენი საქართველოსი, როგორც ქართველები.

ყველა ეს მოსაზრებანი მხოლოდ იმ აზრის გასაშუქებლათ ჩამოვთვალე, რომ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია სრულებით არ ეწინააღმდეგება მუშა ხალხის მიზანსა და სოციალდემოკრატიის მოძღვრებას.

მიუხედავათ ამისა შეიძლება ის მაინც არ მოვითხოვოთ დღევანდელს პირობებში; ტაქტიკურის მოსაზრებით შეიძლება ჯერჯეროობით გავჩუმდეთ და ეს საკითხი არ წამოვაყენოთ.

სწორედ დღევანდელი პირობები მოშაჩნია მე ხელსაყრელათ, რომ ტერიტორიალური ავტონომია მოვითხოვოთ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ წარმოვადგენთ ბპყრობილ ერს. ჩვენ ჩვენის ნებით შევუერთეთ რუსეთს. ჩვენს შეერთებას საფუძვლათ დაედო ხელშეკრულება ანუ ტრაქტატი, რომელიც არ დაკარგულა და დღემდე დაცულია. ამ

ხელშეკრულობას ადასტურებს როგორც ჩვენი მთავრობა, ისე რუსეთისა.

ამ ხელშეკრულობის ძალით ჩვენ საკუთარს, შინაურს საქმეებში სრული ბატონ-პატრონი უნდა ვყოფილიყავით,—ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩვენს საკუთარს ხელში უნდა ყოფილიყო. ერთის სიტყვით საქართველო იქნებოდა ავტონომიური ქვეყანა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

შემოდგა თუ არა ჩვენში ფეხი რუსეთის ჟანდარმმა, ეს ხელშეკრულობა სრულებით გააუქმა რუსის მთავრობამ და ამგვარად ძალადობით აგვყარა ყველა უფლებანი.

ახალმა მთავრობამ მოსპო ძველი რეჟიმი და აღადგინა ადამიანის უფლებანი; ის ვალდებულია, აღადგინოს ერის უფლებანი; ის უარს ვერ გვტყვის, დაგვიბრუნოს ის, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

ხვალ კი შეიძლება უარი გვითხრას და აი რატომ.

ამ ჟამად რუსეთში ბურჟუაზული რევოლუციაა; თავად-აზნაურობისა და ბიუროკრატიის ბატონობა ისპობა, იმათ ალაგს იჭერს მრეწველთა და ვაჭართა კლასი ანუ ბურჟუაზია.

ქვეყნის მართვა-გამგეობა გადადის ოქტომბრისტებისა და კადეტების ხელში. ესენი არიან რუსეთის ბურჟუაზიის იდეიური ხელმძღვანელნი.

სანამ ბურჟუაზია საბატონო ტახტზე ჯერ არ ჩამომჯდარა მძიმეთა და იმედიანათ, უშიშრათ, ის გულუხვათ და თვისი ხელმძღვანელების პირით უხვათ არიგებს ყოველგვარ თავისუფლებას,—ერთ არშინს თხოულობთ, სამი მიირთვით, წაიღეთ ყოველგვარი თავისუფლება! მაგრამ როდესაც ბურჟაზია ფეხს მოიმაგრებს და გაბატონდება, ჩვენ ვიცით მაშინ მისი გულუხვობის ამბავი,—უბრძოლველათ ველარაფერს დააძრობთ ხელიდან.

აი სანამ ძველი ბატონი თავდალმა მიექანება, ახალი კი ჯერ არ დამკვიდრებულა მწვერვალზე, სწორედ ახლა შეგვიძლია დამფუძნებელ კრებას ავტონომია მოვთხოვოთ. თუ ეს შემთხვევა ხელიდან გავუშვით, დიდხანს ველარ მოვიპოვებთ.

იქნება ავტონომიის მოთხოვნით რუსეთის დემოკრატიას ვაწყენინოთ, გული გავუტეხოთ!

რუსეთის დემოკრატიის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი სოკოლოვი აც-

ხადებს: უკრაინელებს ავტონომია უნდა მიეცეთო.

აქედან აშკარაა, რუსეთის დემოკრატიას, რუსის პროლეტარიატს პრინციპიალურათ არაფერი არა აქვს ტერიტორიალური ავტონომიის წინააღმდეგი.

ამგვარად ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება არც ჩვენს მიზანსა და მოძღვრებას, არც ჩვენს ტაქტიკას.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ის არ მივიღოთ, თუ რომ ის ჩვენი ქვეყნისათვის საზარალოა.

მაშ განვიხილოთ, რას მოგვიტანს ჩვენ ტერიტორიალური ავტონომია.

ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა იქნება ჩვენს საკუთარს ხელში. რადგანაც ჩვენში დემოკრატია საკმაოთ ძლიერია და ყოველისფერი დემოკრატიულათ იქნება მოწყობილი, ქვეყნის საოთავეში ჩადგება და დამკვიდრდება დემოკრატია.

ჩვენი ქვეყანა პატარაა და მასთან მდიდარი. გაკეთდება რკინის გზები ყოველ კუთხეში, სასწავლებლები დაარსდება ყოველ სოფელში, ყოველ დაბაში და სწავლა-განათლება გავრ-

ცელდება ხალხში. გაიხსნება სოფლებში საუკეთესო საავათმყოფოები. გაჩაღდება მრეწველობა, მეურნეობა, ვაჭრობა. მუშა ხელი უმუშევრათ არ დარჩება. ხელფასი იმატებს, გლეხის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩნდება და ამგვარათ მთელი ხალხის კეთილდღეობა შესამჩნევათ წაიწევს წინ. მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერული და ტეხნიკური ცოდნის განვითარება და ჩვენი ქვეყანა უცილობლივ გაუსწრებს შვეიცარიას, რადგანაც ჩვენი ქვეყანა გაცილებით უფრო მდიდარია.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას თან მოჰყვება ძლიერი ქართველი ბურჟუაზია. მაგრამ ეს სრულებითაც ნუ შეაშინებს მუშა ხალხს, რადგანაც სადაც ძლიერი ბურჟუაზია არის, იქვეა ძლიერი მუშათა კლასიც.

კლასთა ბრძოლა გაღრმავდება. რვა საათის სამუშაო დღე, საკმაო ხელფასი, მუშების სავალდებულო დაზღვევა და მრავალი სხვა—აი რას მოიპოებს მუშა ხალხი. მე მრწამს, რომ ავტონომიური საქართველო გაცილებით უფრო ადრე განახორციელებს საბოლოო მიზანს პროლეტარიატისას — სოციალიზმს, ვიდრე საქარ-

თველო ტერიტორიალურ ავტონომიას მოკლებული.

განათლებული, განვითარებული, მდიდარი საქართველო; მეცნიერული, ტეხნიკური და ყოველგვარი პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ქართველი ერი; განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და ძლიერი მუშათა კლასი—აი რას უქადის ქართველ ერს ტერიტორიალური ავტონომია.

როგორ უნდა მივიღოთ ავტონომია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რა არის საჭირო ავტონომიის მისაღებათ?

საჭიროა მთელი ქართველი ერის ხმა გაისმას, მთელმა ქართველმა ერმა მოითხოვოს, რომ მისთვის ტერიტორიალური ავტონომია სასიცოცხლო საკითხია. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა პარტიების შეთანხმება.

ავტონომია საქართველოსი არ არის პარტიული საქმე,—ის არის მთელი ერის საქმე. ამიტომ ვერც ერთი პარტია თავის თავათ ვერც მიიღებს მას, ვერც უარჰყოფს. ყველა პარტიები და ჯგუფები უნდა შეთანხმდონ და ერთად შეიმუშაონ დასაბუთებული გეგმა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიისა,

საქართველო შინაურმა კინკლაობამ დაღუ-
ბა. სამწუხაროთ ამასვე ვხედავთ დღესაც.

საკმაო შეგნება დიადი ისტორიული მო-
მენტისა, საკმაო გათვალისწინება ჩვენი მოვა-
ლეობისა მამულის წინაშე დღევანდელ დღეს
ჩვენ არა გვაქვს. სიტყვით სულ შეთანხმებაზე
ვლაპარაკობთ, საქმით კი ყოველ დღე ძირს ვუ-
ახრით ამ შეთანხმებას.

სირცხვილი როგორ არ არის, როგორ არ
უნდა ვწითლდებოდეთ, რომ ჩვენ მეზობელ სომ-
ხებს დროებითი მთავრობა პეტროგრადში იბა-
რებს: ავტონომიის მასალები წარმოგვიდგინეთო.
ჩვენისთანა საბუთი ავტონომიის მოსაპოებლათ
დედამიწის ზურგზე მეორე ერს არ მოებოება
და ჩვენ კი არავინ არა გვცემს ხმას. ან კი რო-
გორ უნდა დაგვიბაროონ, როდესაც ავტონომი-
ის საკითხი ჯერ კიდევ სადაოა ჩვენ შორის!

მარტო პარტიათა შეთანხმება საკმარისი არ
არის ჩვენი ავტონომიის ბედისათვის, — აუცილებ-
ლათ საჭიროა ჩვენს მეზობლებთან — თურქებთან
თიელებთან და სომხებთან მოლაპარაკება და
შეთანხმება.

თურქებთან და მთიელებთან შეთანხმება ადვი-
ლია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამი-
ჯნა შედარებით ადვილი მოსაგვარებელია.

სომხებთან შეთანხმება კი გაცილებით უფრო ძნელია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამიჯვნა ძნელია და ბევრი სადაო საკითხი წამოჰყოფს აქ თავს.

ეჭვს გარეშეა, ზოგი ჩვენ უნდა დავუთმოთ, ზოგი მათ. ეს საჭიროა ორივე ერის კეთილდღეობისა და ძმური განწყობილებისათვის.

თუ სომხებმა ჩუმათ, ფარულათ მოახერხეს ავტონომიის მიღება კავკასიაში, ჩვენ ამას ვერაოდეს ვერ დავეთანხმებით; აგრეთვე ისინიც ვერ დაგვეთანხმებიან, რომ ჩვენ ჩუმათ მივიღოთ ავტონომია.

აუცილებელია, ზოგან სამზღვრებს შესწორება დასჭირდება და ჩვენი სოფლები სომხეთის ტერიტორიალურ ავტონომიაში მოექცევიან, მაგრამ ეს აუცილებელია. მხოლოდ ერთი რამ ცხადი უნდა იყოს ჩვენთვისაც და მათთვისაც:

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის დედაქალაქი თფილისი უნდა იყოს.

უმჯობესია, მთელი ქართველი ერი ერთ დღეს გასწყდეს, ვიდრე მან თფილისი დაჰკარგოს. ტერიტორიალური ავტონომია უთფილისოთ— ეს იქნებოდა ქართველების უდიდესი შეურაცყოფა, საცინათ აგდება, პამპულათ გამოყვანა.

თფილისში ერთი ქართველიც რომ არ იყოს, მაინც ქართველების არის თფილისი,— სხვისი არავისი.

თფილისი ჩვენთვის ალთქმის ქვეყანაა, ჩვენი სიწმინდეა, ჩვენი სულიერი განძია; თფილისი ჩვენს სულშია, ჩვენს არსებაში ჩაქსოვილი ისე მჭიდროთ, რომ მისი ამოშლა, მისი ამოგლეჯა ყოვლად შეუძლებელია. თფილისი ჩვენი ისტორია, ჩვენი მომავალია; თფილისი ჩვენი ბედია, ჩვენი სიყვარული, ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნება.

სხვისათვის კი რა არის თფილისი?

სიმდიდრე, ფული,—მეტი არაფერი!

თფილისთან ჩვენ აგურები კი არ გვაკავშირებს,—თფილისთან ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი გული, ჩვენი ქართველობა, მთელი ჩვენი ისტორია.

პოლონეთის ბევრ ქალაქში დიდ უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ, მაგრამ არც ერთ პოლონელ სოციალდემოკრატს არ მოსვლიათ აზრათ ამ ქალაქელების ცალკე გამოყოფა.

თფილისი ქართლის ნაწილი იყო, არის და უნდა იქნეს.

ისტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა

I

მარქსისა და ენგელსის დიდი ღირსება იმაში გამოიხატება, რომ მათ მეცნიერულათ დაასაბუთეს კლასთა ბრძოლა და დაამტკიცეს, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი შედეგი სოციალისტური წყობილებაა.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დებულება: ჭეშმარიტი მარქსისტი აუცილებლათ უნდა იდგეს კლასთა ბრძოლის ნიადაგზე. მოსპეთ კლასთა ბრძოლა,—უნდა გამოეთხოვოთ მაშინ სოციალიზმს. თუ რომ სოციალიზმს ღებულობთ, უნდა მიიღოთ უსათუოთ კლასთა ბრძოლაც.

ასეთია დებულება მარქსიზმისა.

სოციალიზმი კლასთა ბრძოლის გარეშე მარქსიზმის თვალსაზრისით განუხორციელებელი და უბრალო ოცნებაა.

ამიტომ უმთავრესი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საზომი, რომლითაც მარქსისტმა უნდა გაზომოს ესა თუ ის მოვლენა ან საკითხი, არის შემდეგი:

რამდენათ უწყობს ხელს ესა თუ ის საკითხი ან მოვლენა კლასთა ბრძოლას.

საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასაც სწორედ ამ მხრივ უნდა შევხედოთ.

თუ ავტონომია კლასთა ბრძოლას შეაფერხებს ან შეასუსტებს ჩვენში, მაშინ რასაკვირველია, სოციალდემოკრატია, მუშა ხალხი უარჰყოფს მას. როგორ შეუძლია მას მიიღოს, თავისი ბეჭედი დაასვას ისეთ წყობილებას, რაც მას ხელფეხს შეუბორკავს.

თუ ავტონომია კლასთა ბრძოლას არ შეაფერხებს, მაგრამ არც გააძლიერებს, ამ შემთხვევაში მუშა ხალხისათვის ავტონომია უმნიშვნელო რამ არის და არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ცხადია, ამ შემთხვევაში მუშა ხალხი ვერ იბრძოლებს იმის განსახორციელებლათ, რასაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. დეე, სხვამ შეიქციოს თავი მისი განხორციელებით,—მუშა ხალხი ხელს არ შეუშლის.

ხოლო თუ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ხელს შეუწყობს ჩვენში კლასთა ბრძოლის გაძლიერებას, მუშა ხალხი ვალდებულია, ორივე ხელები ჩასჭიდოს ამ ავტონომიას.

რა არის საჭირო, რომ მუშა ხალხმა კლასობრივი ბრძოლა ნაყოფიერათ აწარმოვოს?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა შეგნება. შეუგნებელი მუშა ხშირათ კაპიტალისტის ხელში-ბრმა იარაღია, რომელსაც კაპიტალისტი პროლეტარიატისავე საწინააღმდეგოთ ხმარობს.

შეგნებული მუშა კი მტკიცეთა დგას კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მას ვერავინ მოატყუებს.

ამგვარი შეგნებისათვის საჭიროა კითხვა, ცოდნა, განვითარება.

რომელ ენაზე შეუძლია მუშა ხალხს ცოდნა-განვითარების შეძენა?

ერთად ერთი ენა მუშა ხალხისათვის, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია განვითარდეს, კლასობრივათ გაიწრთვნას, არის მშობელი ენა.

მშობლიურ ენაზე განვითარება, მშობლიურ ენაზე მწერლობა არავისათვის იმდენათ საჭირო არ არის, რამდენათაც მუშა ხალხისათვის.

თავადები ჩვენში გადაგვარების გზას ადგიან; მათი ენა ქართული აღარ არის; მათი ოჯახებიდან ქართული ენა განდევნილია; ქართულ წიგნებს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ისინი ნაკლებათ ეტანებიან.

ბურჟუაზიაც უცხო ენით იოლათ მიდის.

ინტელიგენცია უცხო ენაზეა აღზრდილი და ამ ენაზე უფრო ეხერხება ლაპარაკი, წერა და კითხვა, ვიდრე დედაენაზე.

დედაენა მხოლოდ მუშა ხალხისათვის შეადგენს აუცილებელ საჭიროებას. ქართულ წიგნს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მუშა ხალხი ეტანება ყველაზე უფრო; ქართულ ენაზე კამათი, მსჯელობა, ლაპარაკი მხოლოდ მუშა ხალხშია, რადგანაც მას არ გააჩნია, მან არ იცის სხვა ენა, რომელსაც შეეძლოს მისთვის დედაენის მაგიერობის გაწევა.

ამიტომ ყველაზე უფრო ეროვნული კლასი მუშა ხალხია; მუშა ხალხის ხელში დედაენა წარმოადგენს მძლავრ საბრძოლველ იარაღს.

რანაირი დემოკრატიული რესპუბლიკაც უნდა დაარსდეს რუსეთში, მუშა ხალხის სწავლა-განათლება და განვითარება ეროვნულ ენაზე უზრუნველყოფილ არ იქნება სრულად: მთავარ ენათ დარჩება რუსული და ცხადია, ძალაუნებურათ მას ექნება უპირველესი მნიშვნელობა, მასვე ექნება მიქცეული უმთავრესი ყურადღება.

ამგვარ პირობებში ყველაზე უფრო წაგე-
ბული მუშა ხალხი დარჩება, რადგანაც გადა-
გვარებული თავადობა, ინტელიგენცია და ბურ-
ჟუაზია დღესაც უცხო ენას უფრო ეტანება
ვიდრე ქართულს.

ქართული ენა რომ სრულებით თავისუ-
ფალი იყოს, ქართულ ენას რომ უცხო ენ-
ველარ უწევდეს კონკურენციას, — ქიშპობას
ქართული ენა, რომ არ იჩაგრებოდეს
ქართულ ენაზე რომ სრულებით უზრუნველ-
ყოფილი იყოს მუშა ხალხის სწავლა და განვ-
თარება, — რა არის ამისათვის საჭირო?

საჭიროა, რომ ქართული ენა იყოს უმ-
თავრესი, სახელმწიფო ენა საქართველოს ტერი-
ტორიაზე.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ორს შემ-
თხვევაში:

თუ საქართველო მოიპოვებს ან სრულ და-
მოუკიდებლობას, ან მიიღებს ტერიტორიალურ
ავტონომიას.

პირველს ჩვენ უარვყოფთ, როგორც გა-
ნუხორციელებელს დღეს და როგორც მავნე-
ბელს ქართველი ერისათვის დღევანდელს პი-
რობებში.

დარჩა მეორე—ტერიტორიალური ავტონომია.

დღევანდელს პირობებში მხოლოდ ტერიტორიალური ავტონომია წარმოადგენს ჩვენთვის ისეთ წყობილებას, სადაც ქართული ენა სრულებით თავისუფალი იქნებოდა.

ამ ენაზე მუშა ხალხის სწავლა-განათლებას, შეგნებას და გათვითცნობიერებას არავითარი დაბრკოლება აღარ ექნება.

პირველ დაწყებითი სწავლა - განათლება ქართულ ენაზე ყველასათვის სავალდებულო შეიქნება.

ჩვენში გაჩნდება სხვადასხვა საზოგადოება და დაწესებულება სახალხო წიგნების გამოსაცემათ და გასავრცელებლათ.

ჩვენ გვექმნება საკმაო თანხა პარტიული მწერლობის უზრუნველსაყოფათ და პარტიული ლიტერატურის გასაძლიერებლათ და ასაყვავებლათ; დაარსდება მუშათა კლუბები და სხვ.

ქართველი მუშა ხალხი ამ გვარ პირობებში აღიჭურვება ცოდნით, განვითარებით, კლასობრივი შეგნებით და გადაიქცევა ისეთ ძლიერ კლასათ, რომლის ბრძოლასაც აღარაფერი აღარ დაუდგება წინ.

II

ყველასათვის აშკარაა, რომ სომხის მსხვილ ბურჟუაზიასა და ჩვენს ბურჟუაზიას შორის ბრძოლა არსებობს ეკონომიურს ნიადაგზე. ეს ბრძოლა ხშირათ ღებულობს ეროვნული მტრობის ხასიათს.

ეროვნული მტრობა კი წინ ელობება, აბნელებს და ამით აფერხებს კლასთა ბრძოლას.

სომხის დემოკრატიის ინტერესი განსხვავდება სომხის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესისაგან. მიუხედავათ ამისა ბევრ კითხვებში, სადაც სომხის დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს ქართველ დემოკრატიას, ის უფრო სომხის მსხვილი ბურჟუაზიისაკენ იხრება.

ამგვარ დაბნელებას კლასობრივი შეგნებისას ხელს უწყობს ეროვნული მტრობა.

ამავე ეროვნული უთანხმოების წყალობით ჩვენს ბურჟუაზიასა და დემოკრატიის შორის ხშირათ მყარდება ერთგვარი თანხმობა. ყველგან და ყოველთვის ეროვნული უთანხმოება საუცხოვო იარაღია ბურჟუაზიის ხელში; ამ იარაღით ის ერთის მხრით გზას უკაფავს თავის ვიწრო კლასობრივ მისწრაფებას, მეორეს მხრით აბნელებს მუშა ხალხის კლასობრივ შეგნებას.

კლასობრივი ბრძოლა რომ ნათელი იყოს და ძლიერი, საჭიროა ერთი მეორეს დაუპირდაპირეს ჩვენი ბურჟუაზია და მუშა ხალხი.

ბრძოლის ველზე ეს ორი უნდა იდგას პირისპირ და მათ შორის მესამე არ უნდა იყოს გაჩხირული. ეს მესამე სომხის ბურჟუაზია ირის.

ამისათვის საჭიროა, რომ კლასობრივ ბრძოლას ჩამოვაცალოთ, მოვაშოროთ ეროვნული მტრობა.

დემოკრატიული რესპუბლიკა რომ განხორციელდეს რუსეთში, ეროვნული შუღლი და უთანხმოება არა თუ არ მოისპობა ჩვენში, უფრო გაძლიერდება.

თავისუფალი წყობილება ხელს უწყობს მრეწველობის, ვაჭრობის ზრდა-განვითარებას. გალონიერდება და გაიზრდება ჩვენი ბურჟუაზია, კიდევ უფრო გაიზრდება სომხის ბურჟუაზია.

თუ დღეს საქართველოში ორივე ერთათ ველარ თავსდებიან და ველარ ეტევიან, ცხადია მომავალში აუცილებელი ზრდაგანვითარების წყალობით უფრო ველარ დაეტევიან და ამიტომ ეროვნული მტრობა უფრო გაიზრდება, უფრო გამწვავდება.

ბურჟუაზულ ურთიერთობაში ეროვნული მტრობის სრული გაუქმება შეუძლებელია; შეუძლებელია ვისმე მოუპოვოთ სრული სამართლიანობა უსამართლო წყობილებაში.

მაგრამ შეიძლება და მოსახერხებელია ამ მტრობის დასუსტება.

ამისათვის საჭიროა ტერიტორიალური ავტონომია როგორც ჩვენთვის, ისე სომხებისათვის.

სომხის ხალხმა ერევნისა და ალექსანდროპოლის სამზღვრებში, სადაც სომხობა უმრავლესობას წარმოადგენს, უსათუოთ უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია. აქეთ მესამზღვრეთ იქნება საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია.

სომხის ბურჟუაზიის უმთავრეს ასპარეზათ გადიქცევა სომხის ერის ავტონომიური ტერიტორია.

ჩვენი ბურჟუაზიის უმთავრეს ასპარეზათ გახდება ავტონომიური საქართველო.

ამგვარათ ეროვნული მტრობა ამ ორი ერის ბურჟუაზიის შორის მეტათ შესუსტდება და ამით კლასთა ბრძოლას ჩვენში ერთი დიდი დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი მიზეზი მოშორდება.

ავტონომიურათ მოწყობილ საქართველოს ბრძოლის ველზე ერთი მეორეს დაუპირდაპირდება ჩვენი ბურჟუაზია და მუშა ხალხი.

მუშა ხალხის შეგნების დამაბნელებელსა და მისი ბრძოლის შემაფერხებელ გარემოებას (ეროვნულ მტრობას) ალაგი ალარ ექნება და წმინდა და ძლიერი კლასობრივი ბრძოლა მაშინ უფრო გაჩალდება ჩვენში.

ის, რაც ჩვენა ვთქვით სომხის ბურჟუაზიის შესახებ, შეეხება უცხო ბურჟუაზიასაც.

დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ვაჭრობა, მრეწველობა სწრაფის ნაბიჯით ჯასწევს წინ.

ჩვენშიაც გაძლიერდება უცხო ბურჟუაზია, რადგანაც ბუნებრივი და მიწაში დამარხული სიმდიდრე ბლომათ მოიპოება.

ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად საკმაოთ იქნება ჩვენში უცხო ერის მშრომელი ხალხიც.

ასეთი აჭრელებული ბურჟუაზია და მშრომელი ხალხი ერთ ტერიტორიაზე ძალიან ცუდ პირობებს წარმოადგენენ წმინდა კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლათ.

ეროვნული შუღლი, მეტოქეობა იმდენათ

ჩახლართული იქნება კლასობრივ უთანხმოებაში, რომ მუშა ხალხისათვის ხშირათ ძნელი გასარკვევი იქნება, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ. ქალაქის საარჩევნო ბრძოლაში სომხის დემოკრატია ბევრგან სომხის მსხვილ ბურჟუაზიას უჭერს მხარს და არა ქართველ დემოკრატიას. სომხის ბურჟუაზია და დემოკრატია რომ პირის პირ იდგეს ბრძოლის ველზე და ჩვენ არ ვერიოთ მათ შორის, მაშინ სომხის ბურჟუაზია ველარ მოახერხებს დემოკრატიის შეგნების დაბნელებას და ეს უკანასკნელი ყოველთვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაირაზმება.

ამიტომ ქართველი მშრომელი ხალხი რომ ქართველ ბურჟუაზიას დაუპირდაპირდეს და წმინდა კლასობრივი ბრძოლა აწარმოვოს შეგნებულათ და რაც შეიძლება, ნაყოფიერათ, აუცილებლათ საჭიროა ტერიტორიალური ავტონომიის მოპოება.

III

ჩვენი ქვეყანა პატარა არის და ამაში მდგომარეობს მისი ნაკლი და, ერთგვარი ღირსებაც.

ეროვნების ძლიერების ერთ-ერთ საფუ-

ძველს რიცხვი შეადგენს. რაც უფრო მრავალ რიცხოვანია ერი, მით უფრო დაუძლეველია ის არსებობისათვის ბრძოლაში. პატარა ადგილზე კი დიდი ერი ვერ მოთავსდება.

ჩვენი საკმაო გამრავლებისათვის თითქოს ბუნებასვე დაუდევს საზღვარი და მოუცია ჩვენთვის პატარა სამშობლო.

ერთი ღირსება ამ სიპატარავისა იმაში გამოიხატება, რომ მისი მოვლა და აყვავება უფრო ადვილია, ვიდრე უზარმაზარი ქვეყნისა.

მაგალითათ გერმანია დაქსელულია რკინის გზებითა და მოკენჭილი გზებით. რუსეთი კი არა. ამისი მიზეზი მარტო კულტურის სხვადასხვაობა კი არ არის, არამედ სივრცის სხვადასხვაობაც, რუსეთი ვეება სივრცის ქვეყანაა და კულტურით კიდეც რომ არ ჩამოუვარდებოდეს გერმანიას, რკინისა და მოკენჭილი გზებით მისი დაქსელვა მეტათ ძნელია, რადგანაც აუარებელ ხარჯებს ითხოვს.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა პატარაა, ჩვენ შედარებით ადვილათ შევძლებთ, არა თუ ყველა კუთხეები დაუკავშიროთ ერთი-მეორეს რკინის გზებით, არამედ რუსეთსაც შევუერთდეთ რამდენიმე გზით.

ჩვენი ქვეყანა დაჯილდოებულია საკმაო სიმდიდრით, რომელსაც დამუშავება ესაჭიროება. რკინის გზები და საკმაო სიმდიდრე სრული თავდები იქნება იმისი, რომ ჩვენში მრეწველობა და ალებ-მიცემობა სწრაფის ნაბიჯით გასწევს წინ.

ქართველი ბურჟუაზია გაიზრდება, გამრავლდება და ჩვენში დაგროვდება დიდძალი ეროვნული სიმდიდრე.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას თან დაერთვის ძლიერი მშრომელი ხალხი.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა მოიფინება საზოგადო განვითარებისა და ტეხნიკური ცოდნის სასწავლებლებით და სწავლა სავალდებულო იქნება, ჩვენი მშრომელი ხალხი ძლიერი იქნება, როგორც საზოგადო განათლებით, ისე ტეხნიკური მომზადებითაც. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად მუშა ხალხის რიცხვი აუცილებლათ იმატებს სამრეწველო ადგილებში.

მრავალი სიმდიდრის დამუშავება და მუშა ხალხის საზოგადო და ტეხნიკური განვითარება აუცილებლათ გამოიწვევს ხელფასის ზრდას.

თუ ამას დაუმატებთ რვა საათის სამუშაო დღეს, აუცილებელ დაზღვევას ყველა მუშებისას, მუშათა კასსებს და სხვა, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ მუშა ხალხი ქონებრივათ საკმაოთ დაწინაურდება.

მდიდარი ცოდნით, მდიდარი რიცხვით, მდიდარი ქონებით,—აი ჩვენი მუშა ხალხის მდგომარეობა ავტონომიურ საქართველოში.

ყველა ეს პირობები ერთათ აღებული ხელს უწყობს თუ არა კლასთა ბრძოლის განვითარებას?

ფრიად უწყობს ხელს.

კლასთა ბრძოლისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს საზოგადო განვითარება. ცოდნა-განვითარებას მუშა ხალხი მიიღებს სასწავლებლებში, რადგანაც ავტონომიურ საქართველოში სწავლა სავალდებულო იქნება.

მუშათა კასსების შემწეობით ჩვენ გვექნება მუშა ხალხისათვის პარტიული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, წიგნთსაცავები, სამკითხველოები, სახალხო სახლები და კლუბები.

ყველა ეს ერთად აღებული ხელს შეუწყობს მუშა ხალხის კლასობრივი შეგნების განვითარებას.

ამგვარათ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია შესამჩნევათ შეუწყობს ხელს მუშა ხალხის განვითარებას და ერთ ძლიერ კლასათ ჩამოყალიბებას.

თავისთავათ ცხადია ის გარემოება, რომ მუშა ხალხი რაც უფრო მრავალ რიცხოვანია, მით უფრო ნაყოფიერია მისი ბრძოლა.

ამ ბრძოლის კარგათ წარმოებისა და ნაყოფიერათ დაბოლოებისათვის აუცილებელია, რომ მუშა ხალხი ქონებრივათ უზრუნველყოფილი იყოს.

დასჭირდა მაგალითათ მუშა ხალხს გაფიცვა რაიმე დღიური მიზნის განსახორციელებლათ. ბურჟუაზიამ არ დააკმაყოფილა მუშა ხალხის პირობები და გაჟინდა.

ვინ მოიგებს?

ის, ვინც მეტ ხანს გაძლებს.

მუშა ხალხმა რომ დიდხანს გაძლოს უმუშევრათ, საჭიროა რომ მის კასსებში საკმაო თანხა იყოს. თუ ეს თანხა არ იქნა და მუშა ხალხს მალე მოშივდა, იძულებული იქნება, გამოვიდეს და მუშაობას ხელი მიჰყოს.

ამ გვარი დამარცხება სხვათა შორის იმ-

თია მავნებელი, რომ ის სულიერ განწყობილებაზე მოქმედებს და მუშა ხალხს აშინებს.

როდესაც მუშა ხალხს ზურგს უმაგრებენ დიდარი კასები, რომელთა საშუალებითაც მუშებს შეუძლიათ საკმაოთ გაახანგრძლიონ გაფიცვა, მუშა ხალხი მაშინ იმედიანათ არის, უფრო გაბედულია, მაგარია ვით კლდე, შეუბოვარი ვით ლომი და მისი გატეხა, მისი დაძლევა შეუძლებელია.

IV

მუშათა მთელი საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც სოციალისტური წყობილება დამყარდება.

ბურჟუაზულ ანუ დღევანდელს ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ გაუმჯობესება მუშა ხალხის მდგომარეობისა.

ამის გამო მუშა ხალხის ბრძოლა ორნაირია: ერთის მხრით ისა ცდილობს, თვისი ცხოვრება დღესვე გააუმჯობესოს, რამდენათაც ეს შესაძლებელია, მეორეს მხრით ის მიისწრაფის სოციალიზმისაკენ.

აქვს თუ არა რაიმე დამოკიდებულება ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას სოციალიზმთან?

კიდეც რომ არა ჰქონდეს არავითარი და-
მოკიდებულება, მუშა ხალხი მაინც ხელს ვერ
აიღებს ამ ბრძოლაზე, რადგანაც მუშა არის
ადამიანი, მასა აქვს ადამიანური გრძნობა, სურ-
ვილები, მოთხოვნილებანი და ყოველივე ამას
დღესვე უნდა დაკმაყოფილება.

როდესაც მუშა იძახის, მშია და შიშველ-
ვარო, ვინ იტყვის მას: მოიცადე, სოციალიზმ
განხორციელდება და აღარც მშიერი დარჩები
აღარც შიშველიო.

მიუხედავათ იმისა, სოციალისტური ურ-
თიერთობა დამყარდება თუ არა, მუშას ყოველ-
გვარ ურთიერთობაში უნდა ადამიანური ცხოვ-
რება და ამიტომ იმის ყოველდღიურ ბრძოლას
თავის თავათ დიდი აზრი და მნიშვნელობა აქვს.

მაინც ყოველგვარ გაუმჯობესებას მუშ
ხალხის ცხოვრებაში უსათუოთა აქვს რაიმე და-
მოკიდებულება მუშა ხალხის საბოლოო მი-
ზანთან.

მუშა ხალხის ყოველ დღიური ბრძოლა
მრავალ გვარია, მაგრამ მას მაინც ორი უმთავ-
რესი საგანი აქვს სახეში: მუშა ხალხის უზრუნ-
ველყოფა ქონებით და თავისუფალი დროთი.

თუ მუშახალხი შედარებით უზრუნველ-

ოფილია ქონებით, თუ მას საკმაო თავისუფა-
ი დრო აქვს, აშკარაა, ამით მას საშუალება
ლევა, უკეთ მოემზადოს და უფრო ენერგიუ-
ათ და შეგნებულათ აწარმოვოს ბრძოლა სო-
იალიზმისათვის.

მთელი ამ ბრძოლისათვის—როგორც ყო-
ელდღიურისათვის, ისე საბოლოოსათვის—რა
ფრო შეუწყობს ქართველ მშრომელ ხალხს
ელს—ავტონომია თუ უავტონომიობა?

ყოველი ჩვენი მსჯელობის დროს მუდამ
ვალწინ უნდა გვქონდეს შემდეგი საანბანო
ებულება:

ქართველი მშრომელი ხალხი იბრძვის და
ავის მიზნებს ახორციელებს საქართველოში,
აქართველოს მიწაწყალზე. რუსეთში რომ რეს-
უბლიკა დამყარდეს და ჩვენ ავტონომია არ
ივიღოთ, ჩვენი მშრომელი ხალხი დარჩება სა-
რთო ბრძოლის ნიადაგზე, ბრძოლის საერთო
ირობებში. რაიმე განსაკუთრებული კანონები
ვენი ქვეყნისათვის არ იქნება და ყოველგვარს
ეტაკებაში ჩვენს მშრომელ ხალხთან ჩვენს
ურჟუაზიას დამცველათ ეყოლება რუსეთის ბურ-
ჟუაზია.

რუსეთის ბურჟუაზია დღესაც საკმაოთ

ძლიერია და დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ის მეტად დიდ ძალლონეს და გავლენას მოიხვეჭავს.

ჩვენს მშრომელ ხალხს მეტათ გაუძნელდება, ნაყოფიერათ აწარმოვოს ყოველდღიური ბრძოლა ისეთს მოპირდაპირესთან, რომელსაც ამდენათ ძლიერი ქომაგი და დამცველი ეყოლება.

ამაზე მე მიპასუხებენ: სამაგიეროთ ქართველ მშრომელ ხალხსაც ეყოლება დამცველი—რუსეთის პროლეტარიატი.

მართალია, მაგრამ აქ უნდა ავწონ-დავწონოთ შემდეგი გარემოება.

რუსეთის პროლეტარიატი თუ ძლიერია, საკმაოთ ძლიერია რუსეთის ბურჟუაზიაც—აქ თითქმის თანასწორი ძალაა და თანასწორი ბრძოლა იქნება. თანასწორ ძალთა დაჯახების დროს თანასწორ ბრძოლაში ყოველი პატარა გამარჯვების მოპოებასაც დიდი დრო და დიდი შრომა სჭირდება.

სულ სხვაა საქართველო. აქ ბურჟუაზია სუსტია, მშრომელი ხალხი კი ძლიერი, რადგანაც ეროვნული ბურჟუაზია ჩვენში გვიან წარმოიშვა, მშრომელი ხალხი კი გაცილებით

ადრე უცხო კაპიტალის—სომხის, რუსის და ევროპის—ზეგავლენით.

მართალია, ავტონომიის ნიადაგზე ჩვენი ბურჟუაზია გაიზრდება და გაძლიერდება, მაგრამ ამავე დროს მშრომელი ხალხიც უფრო გაიზრდება და გაძლიერდება. მათ ძალთა განწყობილებაში ყოველთვის დარჩება შესამჩნევი განსხვავება და ამიტომ ყოველ დღიურ ბრძოლაში ჩვენი მშრომელი ხალხი ადვილათ გაიმარჯვებს, ჩვენი ბურჟუაზია მას ვერასოდეს ვერ გაუწევს ისეთ წინააღმდეგობას, როგორსაც რუსის პროლეტარიატს რუსის ბურჟუაზია გაუწევს.

ამიტომ, რაკი რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, ჩვენი მშრომელი ხალხის ყოველდღიური ბრძოლა გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ავტონომია გვექნება.

ერთი სიტყვით რა მხრითაც უნდა შევხედოთ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში, დავინახავთ, რომ ის უწინარეს ყოვლისა მშრომელი ხალხისათვის არის ხელსაყრელი. კლასთა ბრძოლას ის გააძლიერებს, გაა-

ლრმავებს და მუშა ხალხს სწრაფის ნაბიჯით გააქანებს მისი საბოლოო მიზნისაკენ.

საქართველოს ავტონომია და საქართველოს ერები

ლედამიწის ზურგზე ძნელათ ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც მკვიდრ ისტორიულ ერში სხვადასხვა ეროვნება არ იყოს შესული და ჩასახლებული.

კავკასია ხომ აჭრელებულია სხვადასხვა ეროვნებით.

ვერც ჩვენ, ვერც სომხები, ვერც თათრები ვერ შემოვხაზავთ ჩვენს ტერიტორიას ისე, რომ შიგ მარტო ჩვენ მოვექცეთ—ქართველები, სომხები, თათრები და სხვა არავინ.

ავტონომიურ საქართველოში ბლომათ იქნებიან სომხები, თათრები, რუსები, ბერძნები, ისრაელები.

ავტონომიურ სომხეთში ბლომათ იქნებიან თათრები, იქნებიან ქართველები, ბერძნები.

აგრეთვე ავტონომიურ ადერბეიჯანში ბევრი იქნება სომეხი.

თავისთავათ იბადება საკითხი, რა მდგომარეობაში იქნებიან ავტონომიურ საქართვე-

ლოში სხვადასხვა ერები, როგორი განწყობილება იქნება ჩვენსა და მათ შორის?

ბევრსა ჰგონია, ავტონომიურ საქართველოში სხვა ერები დაიჩაგრებიან და ეს გამოიწვევს ეროვნული ურთიერთობის გამწვავებასო.

ეს აზრი საფუძველს მოკლებულია.

სხვადასხვა ერთა უფლებანი განსაზღვრული იქნება ჩვენს კანონებში და დამტკიცებული რუსეთის უმაღლესი მთავრობისაგან. ჩვენ კიდეც რომ მოვინდომოთ მათი შევიწროება, ამას ვერ მოვახერხებთ, რადგანაც ეს იქნება კანონების, კონსტიტუციის დარღვევა.

ჩვენი ამგვარი ნაბიჯის წინააღმდეგ მაშინათვე მიიღებს ზომებს პეტროგრადის მთავრობა, რომელსაც ჩვენ ვერ მოვერევით.

უმაღლეს მთავრობას ვინ შეატყობინებს დროზე ყოველივე ამას?

ის მოხელე ან გენერალგუბერნატორი, რომელიც დანიშნული იქნება ჩვენში უმაღლესი მთავრობის მიერ და რომლის მოვალეობაც იქნება, ყოველისფერს თვალყური ადევნოს და ყოველივე საეჭვო ნაბიჯი აცნობოს პეტროგრადის მთავრობას.

კანონებსაც რომ თავი დავანებოთ, მხედ-
ველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება.

თუ მაგალითათ ავტონომიურ საქართველ-
ოში იქნებიან სომხები, სამაგიეროთ ავტო-
ნომიურ სომხეთშიაც მოჰყვებიან ქართველები.
კიდეც რომ არ გვინდოდეს, მაინც იძულებუ-
ლი ვიქნებით ამის გამო, არაფერში შევავიწ-
როვოთ ჩვენი სომხები, რომ მათაც არ შეავი-
წროვონ ქართველები თავის ავტონომიაში.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ავტო-
ნომიურ საქართველოში ქვეყნის მართვა-გამგე-
ობა იქნება დემოკრატიის ხელში. ეს კი სრუ-
ლი თავდებია მისი, რომ არავითარ შევიწროე-
ბას აქ ალაგი არ ექნება, რადგანაც დემოკრა-
ტია სასტიკი მტერია ყოველგვარი შევიწროე-
ბისა და დაჩაგვრისა.

ავტონომიურ საქართველოში მცხოვრები
ერები იქნებიან საქართველოს თავისუფალი მო-
ქალაქენი, ისე როგორც ქართველები.

მაშასადამე მათ ექნებათ ყველა მოქალა-
ქეობრივი უფლებანი, ისე როგორც ქართვე-
ლებს.

ამ მხრივ ავტონომიურ საქართველოში
იქნება სრული თავისუფლება.

არავითარი განსხვავება არ იქნება უფლებრივის მხრით ქართველებს, თათრებს, ოსებს, სომხებს, რუსებს, ებრაელებს შორის და სხვ.

ქართველ ისრაელებზე მე არასფერს ვამბობ, რადგანაც მე მიმაჩნია ისინი ჩვენს სისხლ და ხორცათ სარწმუნოებრივის განსხვავებით. ავტონომიური საქართველო ყველასათვის იქნება ნამდვილი დედა, დედინაცვალი კი არავისთვის.

ჩვენი დემოკრატია ისეთს ურთიერთობას დაამყარებს ჩვენში, რომ სრული უფლება გვექნება ვიამაყოთ ჩვენი სამშობლოთი. სხვა ერებს კი სრული საშუალება მიეცემათ, შეიყვარონ ის, როგორც თავიანთი სამშობლო.

საზოგადო და სახელმწიფო ასპარეზზე ყველა ერებს სრულებით თავისუფალი გზა ექნებათ ყოველგვარი სამსახურისა და თანამდებობისაკენ.

მათ ავირჩევთ მსაჯულებათ, ნაფიც ვექილებათ, ხმოსნებათ, ქალაქის თავათ, დეპუტატებათ, სხვა და სხვა თანამდებობის პირათ და სხვ.

ერთის სიტყვით საზოგადო და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ჩვენ ყოველისფერი სა-

ერთო გვექნება—მოქმედებაც, ჭირიც, ლხინიც.

საქართველოს მუშათა პარტიაში ქართველებთან ერთათ საქართველოს სომხებიც იქნებიან, თათრებიც, რუსებიც, ოსებიც. ასე რომ ამ მხრივ არავითარი გათიშვა არ იქნება. პირიქით ჩვენ შორის უფრო განმტკიცდება ძმობა და ერთობა, რადგანაც საერთო თანასწორობისა და თავისუფლების ნიადაგზე ჩვენ გვექნება საერთო საქმე.

ავტონომიურ საქართველოში ალაგი-ალარ ექნება იმ ეროვნულ შუღლსა და მტრობას, რასაც დღესა აქვს ალაგი.

რადგანაც ჩვენს შორის ეროვნული და სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობაა,—ეი სწორეთ ამ სხვადა-სხვაობის ნიადაგზე ჩვენ გვექნება სხვა და სხვა საქმე წმინდა კულტურული ხასიათისა.

საქართველოს ერებს აქვთ საკუთარი ენა, საკუთარი ეკლესია, საკუთარი კულტურა, საკუთარი ლიტერატურა. ამიტომ თავის კულტურულ საქმეებში ისინი სრულიათ დამოუკიდებელი იქნებიან. მათ ექნებათ საკუთარი სასწავლებლები, საკუთარი წერვა-ლერკვა საკუთარს

ეკლესიებში, საკუთარი კულტურული საზოგადოებანი, კავშირები, დაწესებულება და სხვ.

ამას ეწოდება კულტურული თვითმართველობა ანუ კულტურული ავტონომია.

საქართველოს ავტონომიაში მცხოვრებ ყველა ერს სრული უფლება ექნება, თვისი კულტურულ-ეროვნულ საქმეები ისე მოაწყოს და აწარმოვოს, როგორც მასა სურს.

როგორც ავტონომიურ საქართველოს მოქალაქენი, ისინი ექვემდებარებიან ჩვენს მთავრობას, ჩვენს სასამართლოს და იხდიან საკალდებულო სახელმწიფო გადასახადს.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში საკალდებულო იქნება ქართული ენა და საქმის წარმოება ქართულ ენაზე.

ამაში გამოიხატება ერთგვარი და მასთან აუცილებელი შეზღუდვა.

აქაც კი შეიძლება ამა თუ იმ ცვლილების შეტანა.

თუ კავკასიის სეიმი დაწესდა, იქ ყველა უმთავრესი ენა იქნება მიღებული — ქართული, სომხური, თათრული, ლეკური, როგორც შვეიცარიის საერთო საბჭოშია მიღებული ფრანგული, იტალიან-ური და გერმანული ენა.

ამისდა მიხედვით საერთო საქმეების წარმოება იქნება ყველა ამ ენაზე.

დასკვნა:

ავტონომიურ საქართველოში მცხოვრები ებრაელები, ქართველი ისრაელები, რუსები, სომხები, თათრები, ოსები და სხვ. იქნებიან სრულებით თვისუფალი და სრულ უფლებიანი მოქალაქენი, ისე, როგორც ქართველები.

მათ სრული უფლება ექნებათ, თავის სასწავლებლები, ეკლესიის საქმეები და კულტურული დაწესებულებანი ისე მოაწყონ, როგორც თვითონა სურთ. საქართველოს მთავრობა კანონის ძალით ამგვარ მათ საქმეებსა და მოქმედებაში ვერ ჩაერევა.

მუშას

ამხანაგო მუშა!

მუშა ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ და აუარებელმა მსხვერპლმა თავის მიზანს მიაღწია: რუსის ხალხმა შემოიძრო ბორკილები და ის დღეს თვითონ არის თვისი საკუთარი ბატონ-პატრონი. დღევანდელი რევოლუციით რუსის ხალხმა მოიპოვა როგორც მოქალაქობრივი, ისე ეროვნული უფლებანი.

რას ვუძახი მე ეროვნულ უფლებებს?

აი რას.

დღემდის რუსეთს განაგებდენ მეფე და მისი მთავრობა,—განაგებდენ ისე, როგორც მათ სურდათ და არა ისე, როგორც თვითონ რუსის ხალხს სურდა. ამგვარათ რუსის ხალხი მოკლებული იყო ეროვნულ უფლებებს.

დღეიდან რუსის ხალხი ამყარებს ისეთ წყობილებას, როგორიც მას თვითონ მოსწონს, და სათავეში დააყენებს ისეთ პირებს, რომლებიც მისი სურვილის თანახმათ განაგებენ ქვეყნის საქმეს.

აი ამგვარათ რუსის ხალხმა აღადგინა თვისი ეროვნული უფლებანი.

ამ საერთო ბრძოლის ველზე შენც საკმაოთ დაღვარე ოფლი და სისხლი, ამხანაგო უშა!

გადმოჰხედე შენს მშობელ ერს—ქართველ ერს და მითხარი რა მოიპოვა, მან?

თავისუფლება,—მეუბნები შენ.

მართალი ხარ, რუსის ხალხმა ჩვენ მოგვიჭა თავისუფლება, ძალიან დიდი თავისუფლება, ხოლო ეს თავისუფლება რუსეთისათვის

არის მოქალაქობრივიც, ეროვნულიც; ჩვენ
თვის კი მოქალაქობრივია მარტო.

ვერ გაგიგია?

გაუგებარი აქ არაფერია.

ეროვნული თავისუფლება ნიშნავს იმა
როდესაც ერი თვითონ განაგებს თავის საკ
თარ საქმეებს.

ძველი რეჟიმის დროს რუსის ხალხი თვ
თონ არ განაგებდა თავის საქმეებს, დღეიდ
კი თვითონ განაგებს ისე, როგორც მას ენ
ბება.

ქართველი ხალხი ძველი რეჟიმის დრ
თვითონ არ განაგებდა თავის საქმეებს, ახა
რეჟიმშიაც ის არ განაგებს თავის საქმეებს.

რუსის ხალხმა რევოლუციით მოიპო
სრული თავისუფლება — მოქალაქობრივი
ეროვნული.

ქართველმა ხალხმა კი მოიპოვა ნახევარ
თავისუფლება—მოქალაქეობრივი.

მაშ რა გვაკლია?

მეორე ნახევარი სრული თავისუფლებ
—ეროვნული უფლებამი.

რას ნიშნავს ეს ეროვნული უფლებანი?

აი რას, ამხანაგო მუშა!

რუსის ხალხი მოაწყობს თავის საქმეებს განაგებს ისე, როგორც მას უნდა.

ჩვენც უნდა მოვიპოვოთ უფლება, რომ ერთველმა ხალხმა ისე მოაწყოს თვისი ეროვლი საქმეები და ისე განაგოს, როგორც მასა რს. ეს არის მხოლოდ დემოკრატიული მოვნილება—მთელი ერი თვითონ უნდა განადეს საკუთარ საქმეებს.

— „ეე, განცალკევება გინდა, გამოყოფა რუსეთის მიტოვება“, შეუბნები შენ.

არა ამხანაგო მუშა! ღმერთმა დამიფაროს. ესეთთან სიცოცხლე, რუსეთთან სიკვდილი— ჩემი რწმენა.

მე მხოლოდ ის მინდა, რომ ქართველ ხალხი საკუთარ, შინაურ ცხოვრებაში თასუფალი იყოს და თვითონ განაგებდეს საკუთველოს საქმეებს.

ჩვენ რომ ასეთი თავისუფლება გვექნება, რწმუნებ, ამხანაგო მუშა, მაშინ კიდევ უფ შეგვიყვარდება რუსეთი და რუსის ხალხი, ი ბედნიერებისათვის სიცოცხლეს არ დავერებთ.

რა არის ამისთვის საჭირო?

რა და ტერიტორიალური ავტონომია.

ვიცი, ვიცი! შენ როგორ მიიღებ მას, რა
საც ფედერალისტები თხოულობენ! შენ ხო
სოციალდემოკრატი ხარ, ფედერალისტებთან
რა გაქვს საერთო?

დავანებოთ ამ ფედერალისტებს თავი; წარ
მოვიდგინოთ, რომ ისინი არც კი არსებობენ
საქართველოში.

რომელიმე შავრაზმელი შვილი ან ძე-
ქართულ ენაზე ლაპარაკობს. მერე შენ რალაა
ლაპარაკობ ქართულათ? მას ხომ შავრაზმელ
თავადი თავის დედა ენას უძახის? რა გაქვს შენ
საერთო შავრაზმელთან?

რა ვუყოთ, ჩემი დედაენაც ქართულიათ
მეუბნები შენ.

შენ მართალი ხარ, ამხანაგო მუშა.

დაჩაგრული ერის ეროვნული უფლებანიც
სწორეთ დედა ენაა, რომელიც შენთვისაც საჭ
ჭიროა და ბევრი სხვისთვისაც.

ქართველმა ერმა რომ აღადგინოს დემო-
კრატიული რუსეთის ნებით თვისი ეროვნული
უფლებანი, შენ რა უნდა გქონდეს ამის წი-
ნააღმდეგ?

განა რუსის მუშას არ უხარია, რომ მის-
მა ერმა ეროვნული უფლებანი აღიდგინა?

შენ შენი ერი ყველაზე უფრო გიყვარს და განა არ გაგახარებს ის, რაც შენი მშობელი ერისათვის სასარგებლოა?

შენ არ შეგიძლია ტერიტორიალური ავტონომიას მხარი არ დაუჭირო, რადგანაც აქ არის აღდგენა შენი ერის ეროვნული უფლებისა, აქ არის თავისუფალი და თვისი თავის ბატონ-პატრონი ქართველი ერი.

რა ვუყოთ რომ ფედერალისტებიც ავტონომიას თხოულობენ? შენ ეს რათ გაშინებს, ამხანაგო მუშა?

რუსეთში კადეტები და ზოგიერთი თავადები ღემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ. მაშ სოციალდემოკრატმა მუშამ აღარ უნდა მოითხოვოს იგივე! ის ხომ კადეტი არ არის, რომ კადეტის მოთხოვნილებას მხარი დაუჭიროს!

მაგრამ რუსის მუშას ეს არ აშინებს და კადეტთან ერთად ითხოვს ისიც დემოკრატიულ რესპუბლიკას.

არც შენ უნდა შეგაშინოს იმ გარემოებამ, რომ ფედერალისტები ტერიტორიალურ ავტონომიას მოითხოვენ; შენც უნდა მოითხოვო

იგივე, რადგანაც ამაშია ქართველი ერის კეთილდღეობა.

და მერე ვის აკუთვნის ქართველი ერის კეთილდღეობის დარაჯობა, მისთვის თავ-გამეტებული ბრძოლა?

რასაკვირველია, უპირველესათ და ყველაზე უფრო შენ.

ან იქნება შენი სოფლელი მეზობელივით შენ გგონია, რომ ტერიტორიალური ავტონომია ბატონყმობის აღდგენაა!

რასაკვირველია, შენ იმდენათ შეგნებული ხარ, რომ ამაში ველარავინ მოგატყუებს, მაგრამ ეჭვში კი ხარ, ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა ვაი თუ სოციალდემოკრატიის პროგრამას ეწინააღმდეგებოდესო.

მაშ ყური დამიგდე, ამხანაგო მუშა! პოლონეთში არიან სოციალდემოკრატები და ისინი თხოულობენ პოლონეთის ტერიტორიალურ ავტონომიას, დღეს კი პოლონეთის სრულ თავისუფლებას იცავენ: პოლონეთი სულ უნდა ჩამოშორდეს რუსეთს და დამოუკიდებელი იყოსო.

ეი რას ამბობენ შენი პოლონელი ამხანა-

ბები და შენ კი ტერიტორიალური ავტონომიის თქმაც ვერ გაგიბედნია.

ეეხ, მე მინდა რომ შენთვის გაუბედავი არაფერი არ იყოს: მე მინდა რომ შენ სრული უფალი იყო საკუთარი თავისა, საკუთარი ნებისა.

ლატვიაში არიან სოციალდემოკრატები და ისინი ლიტვის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ.

უკრაინაში არიან სოციალდემოკრატები და ისინი უკრაინის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ.

ჩაუკვირდი ამ მოვლენას, კარგათ ჩაუკვირდი, ამხანაგო მუშა!

რუსეთის ყველა განაპირა ერების მუშები თავთავის ქვეყნისათვის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ და შენ რას ყოყმანობ, შენი ხმა რატომ არ ისმის?

გეფიცები, ამხანაგო მუშა, მეშინია, არ ინანო: მეშინია, ვაი თუ შენმა მშობელმა ერმა ბოლოს საყვედურით მოგმართოს.

ჩაფიქრდი, ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის.

ღმერთმა ნუ ჰქნას და რომ შეგვაჩენოს შენმა მშობელმა ერმა; მილალატეო?

გაბედე, აამაღლე შენი ხმა. აბა გაიხედ-
გამოიხედე!

განა პოლონეთის, ლატიშების, უკრაინის,
ლიტვის, ესტონეთის მუშები ტერიტორიალურ
ავტონომიას არ თხოულობენ?

გაგა ესენი თვისი ხალხის, თვისი დემო-
კრატიის მტრები არიან?

ვიცი შენ რასაც ჰფიქრობ, ამხანაგო მუ-
შა: ავტონომიის მოთხოვნა სარევოლიუციო
ძალთა დაქსაქსვას გამოიწვევს და კონტრ-რე-
ვოლიუციას ხელს შეუწყობსო.

ამხანაგო, მუშა, ნუ გეწყინება და რათა
გგონია. რომ შენ უფრო შეგნებული ხარ. ვიდ-
რე პოლონების, უკრაინის, ლიტვის ესტონე-
თის და ლატიშების მუშები?

შენი მოფიქრება რომ მართალი იყოს,
ყველა ესენი გაჩუმდებოდენ და ტერიტორია-
ლურ ავტონომიას არ მოითხოვდენ. განა მათ
შენზე ნაკლებათ სწყურიათ რევოლიუციის გა-
მარჯვება და კონტრ-რევოლუციის მოღრჩობა?

შენს მოსაზრებაში რომ მცირეოდენი სი-
მართლეც იყოს, ამხანაგო მუშა, პეტროგრადის
მუშათა დეპუტატების და ჯარისკაცების საბჭო
მიმართავდა რუსეთის ყველა განაპირა ქვეყნე-
ბის მუშებს და გამოუცხადებდა:

ამხანაგებო, არ მოითხოვოთ ტერიტორიალური ავტონომია, რადგანაც ეს ჩვენს ძალას დაქსაქსავს და კონტრ-რევოლიუციას ხელს შეუწყობს.

ამის ნაცვლათ კი ჩვენ რასა ვხედავთ?

პროლეტარიატის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი სოკოლოვი—პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი—უკრაინის დეპუტაციას მიმართავს და ეუბნება: ჩვენ მომხრენი ვართ თქვენი ტერიტორიალური ავტონომიისო.

შენ იქნება ჰფიქრობ, ამხანაგო მუშა, რომ სხვებისათვის ტერიტორიალური ავტონომია სახარგებლოა, ჩვენთვის კი საზარალო იქნება.

მაგრამ ასეთ აზრს არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

თუ იმას ჰფიქრობ, რომ ავტონომიურ საქართველოში სხვა კლასი გაბატონდება და დემოკრატიის ინტერესებს შეავიწროებს, ნუ გეწყინება, ამხანაგო, და მხდალი ჰყოფილხარ.

ჯერ გუშინაც, როდესაც ჩვენში ძველი რეჟიმი ფარფაშობდა, ჩვენი დემოკრატია ყველა კლასზე ძლიერი იყო და, თუ ჩვენში დემოკრატიული რუსეთის მფარველობით ტერი-

ტორიალური ავტონომია აღმოცენდა, ჩვენი დემოკრატია ისე გაშლის ფრთებს, ისე გაიზრდება, რომ მთელი საქვეყნო საქმე მხოლოდ მის ხელში იქნება, საქართველოს სრული ბატონ-პატრონი და გამგე ის იქნება.

შენ იტყვი, ამხანაგო მუშა, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია სომხებსა და ქართველებს შორის მტრობას ჩამოაგდებს და ეროვნულ დავიდარაბას ბოლო არ მოეღებაო.

ამგვარი შიშიც უსაფუძლოა, ამხანაგო მუშა!

ტერიტორიალური ავტონომია ჩვენი მეზობელი სომხებისათვისაც საჭიროა.

ჩვენ არ გვინდა, ტერიტორიალური ავტონომია, სომხებთან შეუთანხმებულათ მივიღოთ. ჩვენ უნდა მოვრიგდეთ ერთმანერთში, შევთანხმდეთ და არა თუ არ უნდა შევუშალოთ ერთმანეთს ხელი, პირიქით ჩვენ ისე უნდა დავიცვათ მათი ტერიტორიალური ავტონომია, როგორც ჩვენი; მათაც ისე უნდა დაიცვან ჩვენი ტერიტორიალური ავტონომია, როგორც თავისი.

მაშ რაღას ჰფიქრობ, რაღაც გაჩუმებულხარ, ამხანაგო მუშა?

ყური დაუგდე:

ყველა დაჩაგრული ქვეყნების პროლეტარიატი ტერიტორიალური ავტონომიას ითხოვს. შენმა საკუთარმა სამშობლომ რალა დაგიშავა? ნუთუ შენი ხმა უნდა გამოაკლდეს ყველა განაპირა ქვეყნების მუშათა საერთო ხმას?

ნუთუ არ უნდა გავიგონოთ შენგან: გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასო?

ხალხის ხალხს

საქართველოს თავისუფალო მოქალაქენო!

მე მოგმართავთ თქვენ ყველას, რომლებიც გუშინ დამამცირებელ სახელს გლეხისას ატარებდით.

ყური დამიგდეთ!

სოციალდემოკრატიის მოძღვრებაში სხვათა შორის სწერია: ყოველ ერს უფლება აქვს თვით-გამორკვევისაო.

რას ნიშნავს ეს თვითგამორკვევა?

აი რას:

ყოველ ერს უფლება აქვს, მოითხოვოს ისეთი საშინაო წყობილება, როგორსაც ის

თვითონ გამოარკვევს, თვითონ შეიმუშავებს და მოიწონებს თავისთვის.

მაშ ჩვენ ქართველებმა რომ ჩვენი ქვეყნისათვის მოვითხოვოთ რამე, ამით ჩვენ სოციალდემოკრატიის მოძღვრებას კი არ დავარღვევთ, არამედ მოვიქცევით სწორეთ ისე, როგორც ეს მოძღვრება გვირჩევს.

რა უნდა მოვითხოვოთ ჩვენთვის?

სრული გამოყოფა რუსეთისაგან?

ეს ყოვლად შეუძლებელია. რუსეთის ძლევამოსილმა ხალხმა დაამტვრია თვისი ბორკილები და ჩვენი ბორკილებიც, რუსეთის ძლევამოსილმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და ჩვენც მოგვანიჭა.

ამიტომაც ჭირი და ლხინი ჩვენ რუსის ხალხთან ერთი უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ვიყოთ მორჩილი და ერთგული იმ მთავრობისა, რომელსაც რუსის ხალხი აირჩევს; მაგრამ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ უფლება, რომ ჩვენს შინაურს, ჩვენი ქვეყნის, ყოველი ჩვენი კუთხის საქმეებს ჩვენ თვითონ ვაწარმოებდეთ. დანარჩენში ჩვენ ვიქნებით დიდი რუსეთის ერთგული შვილები, ერთგული მოქალაქენი და იმის საკეთილდღეოთ, მისი ღირსების, სახელისა და

მთლიანობის დასაცავათ რუსის ხალხთან ერთად დავღვრით ჩვენს სისხლს, ისე როგორც დღემდის გვიღვრია და დღესაც ღვრიან ჩვენი ძმები, შვილები, მამები და ნათესავები ბრძოლის ველზე.

ერის ამგვარ უფლებას, რომლის მოპოებაც ჩვენთვის საჭიროა, რა ჰქვია?

მას ჰქვია ტერიტორიალური ავტონომია.

თქვენ მეტყვით რალათ გვინდა ტერიტორიალური ავტონომია, რაკი რუსეთში ახალი მთავრობა იქნება ხალხის მიერ არჩეულიო.

ამაზე აი რას გიპასუხებთ.

ძველი მთავრობა, ძველი წყობილება რითი იყო მავნებელი?

მით რომ სულს გვართმევდა, ყოველგვარ თავისუფლებას გვისპობდა, მისი პოლიციტყავს გვაძრობდა და ავაზაკებს თვითონ ინახავდა! მის სასამართლოში სამართალს ვერა მპოულობდითო, მეუბნებით თქვენ,

მართალი ხართ, მართალი. დღეიდან ყოველივე ეს მოისპობა.

მაგრამ მარტო ამით იყო ჩვენთვის ძველი წყობილება მავნებელი?

თქვენ სდუმხართ, არაფერს მეუბნებით.

მაშ მე გეტყვით.

ძველი წყობილემა სხვათაშორის იმითიც იყო ჩვენთვის მავნებელი, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებს სამიათასის ვერსის სიშორიდან—პეტროგრადიდან განაგებდენ.

აბა ერთი მიბრძანეთ, სამიათასი ვერსის სიშორიდან განა შეიძლება ჩვენი საქმეების ისე მართვა, როგორც ჩვენ თვითონ წავმართავთ აქვე.

რასაკვირველია არ შეიძლება!

ჰო და ახალი მთავრობა ჩვენში ხომ არ გადმოსახლდება,—მისი მუდმივი ბინა, მისი სატახტო ქალაქი პეტროგრადია და ახალი მთავრობაც ამიტომ იძულებული იქნება, პეტროგრადიდან აწარმოვოს, განაგოს ჩვენი საქმეები, თვალყური ადევნოს ჩვენ ცხოვრებას. ჩვენ სულითა და გულით ვენდობით ახალ მთავრობას, რომელსაც კი რუსის ხალხი აირჩევს და ენდობა; გვიმსახუროს, რითიც კი დავჭირდებით და რითაც კი შევიძლებთ, მაგრამ იმ სიშორიდან მისთვის მეტად ძნელია, ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ საჭიროებას გასწვდეს, რადგანაც მარტო ჩვენ ხომ არ ვიქნებით მისი საზრუნავი,—მთელი ამოდენა უზარმაზარი რუსეთი ხა-

დაც თითქმის ასოთხმოცი მილიონი ხალხი სცხოვრობს, მას ებარება.

დროებითი მთავრობა არ არის წინააღმ-დეგი. პირიქით, ის ყველასა ჰპირდება ტერი-ტორიალურ ავტონომიას. მან კიდეც დაუბრუ-ნა ფინლანდიას ავტონომია, რომერიც ძველმა მთავრობამ მოსპო.

მაგრამ ჩვენ როგორ დაგვპირდება, თუ ჩვენვე თითონ არ მოვითხოვთ!

განა თქვენ თითონ არ ამბობთ, ხოლმე: ეს წელიწადში ცა ერთხელ გაიღება და ვინც იმას შეხედავს, ბედს ეწევაო.

აი სწორედ ასი წელიწადია, რაც ძველი მთავრობა სულს გვართმევდა. ჩვენი ცხოვრე-ბის ცა დღეს გაიღო და, თუ დღესაც ვერ ვე-წიეთ ბედს, თუ დღესაც არ გავაგებინეთ რუ-სის ხალხს, ახალ მთავრობას, რა არის ჩვენ-თვის საჭირო, მერე ჩვენთვის ვინღა მოიცლის?

ჩვენ რაღაც ორი მილიონი თუ ვიქნებით და ახალ მთავრობას ეს ოთხმოცი მილიონი ხალხის საქმეები აქვს მოსაგვარებელი!

ტერიტორიალურ ავტონომიას რო მო-ვიპოვებთ, ვის ხელში იქნება ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა?

რასაკვირველია თქვენს ხელში.

როგორც თქვენ გინდათ, ისე აწარმოებთ თქვენს საქმეებს; რასაც მოისურვებთ, იმას გააკეთებთ.

რასაც დაგვავალებს ახალი მთავრობა, იმას შევასრულებთ; თუ დავჭირდით ბრძოლის ველზე, გაგვიყვანს და ჩვენც გავალთ. ხოლო თუ ვინმე გაჰბედა და შეგვავიწროვა, ისევ ახალი მთავრობა დაგვიფარავს, ისე როგორც ის იფარავს ფინლიანდიას.

თქვენი კუთხის საქმეები კი თქვენსავე ხელში იქნება.

თქვენ მტერი ხართ თქვენი საკუთარი თავისა?

ცხადია, არა,—ამას რა დიდი მტკიცება და ფიცი ეჭირვება!

მაშასადამე თქვენს საქმეებსაც კარგათ მოაწესრიგებთ და კარგათ წაიყვანთ, რალა თქმა უნდა.

იქნება ვერ გაიგეთ კარგათ.

თქვენ ყველანი ამოირჩევთ თქვენს შორის სამი-ოთხი წლის ან მეტის ვადით იმ პირებს, რომლებსაც ენდობით და მათ ჩააბარებთ ყველა საქმეებს. როგორც ახალი მთავრობა

აწესრიგებს რუსეთის საქმეებს, ისე უნდა აწესრიგონ და აწარმოვონ თქვენ მიერ არჩეულმა პირებმა თქვენი საქმეები ისინი თქვენს წინაშე იქნებიან პასუხის მგებელნი. თქვენი ერთი კაპეიკი არ დაიკარგება, უბრალოთ არ დაიხარჯება და ყოველივე ისე გაკეთდება, როგორც თქვენ მოისურვებთ, მოიწონებთ და გადასწყვეტთ.

სოფლის თავისუფალო მოქალაქენო, ეს საჭიროა თქვენთვის, თქვენი კეთილდღეობისათვის, თვალები კარგად გაახილეთ, არ მოსტყუვდეთ, მოითხოვეთ ტერიტორიალური ავტონომია. ყველა განაპირა ერების სოფლელები, მუშები ამას თხოულობენ.

თუ ასეთი დრო ხელიდან გაუშვით, არ შეიგნეთ, რომ ავტონომია სწორეთ თქვენთვის არის საჭირო და არ მოითხოვეთ ის, ცა ხომ ყოველ კვირეს არ გაიღება.

ყველა განაპირა ქვეყნების მუშები, სოფლის ხალხი—თქვენისთანა ხალხი ავტონომიას მიიღებენ, რადგანაც ისინი თხოულობენ ამას; თქვენ კი ისე დარჩებით და შვილისა და შვილის შვილების წყევლა-კრულვას დაიმსახურებთ; ყველა ქვეყნის შეგნებული ხალხი ბრიყვსა და რეგვენს დაგიძახებსთ.

ავტონომიის სხვა და სხვაობა

რადგანაც ავტონომია სხვადასხვანაირია, ჩვენს გაზეთებში სხვა და სხვა სახელწოდების ავტონომიას ახსენებენ ხოლმე და გამოუცდელმა მკითხველმა არიცის, რომელი რას ნიშნავს.

სხვა და სხვა გვარ ავტონომიას შორის განსხვავება გამოიხატება უფლებაში: ერთ ავტონომიაში მეტი უფლებაა, მეორეში ნაკლები.

ეროვნულ-ტერიტორიალური ანუ ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომია ნიშნავს იმას, როდესაც ერთ რომელიმე ერს საკუთარს სამშობლოში ანუ მიწაწყალზე საკუთარი ავტონომია აქვს.

პოლიტიკური, ნაციონალურ-პოლიტიკური ავტონომია, იგივეა, რაც პირველი, ხოლო აქ უფლება ავტონომისა უფრო მკაფიოთ არის აღნიშნული. ეს არის პოლიტიკური უფლება.

რას ნიშნავს პოლიტიკური უფლება?

როცა ერსა აქვს საკუთარი პარლამენტი, საკუთარი კონსტიტუცია ანუ ძირითადი კანონები და აქვს უფლება საკუთარი კანონმდებლობისა, ეს არის ერის პოლიტიკური უფლება.

კულტურული, ნაციონალურ-კულტურული ანუ ექსტერიტორიალური ავტონომია. ასეთი ავტონომია ეძლევა ისეთ ერს, რომელსაც საკუთარი სამშობლო არ გააჩნია. მაგალითად საქართველოს სომხები, ოსები ქართველების მიწა წყალზე მოსახლეობენ, მათ უნდა მიეცეთ მხოლოდ კულტურული ანუ ექსტერიტორიალური ავტონომია.

რას ნიშნავს ეს?

მათ შეუძლიათ თავისი სასწავლებელი, ეკლესია, საქველმოქმედო საზოგადოებანი მოაწყონ და აწარმოვონ საკუთარს ენაზე ისე, როგორც მათ სურთ. ხოლო საქართველოში საკუთარი პარლამენტი, საკუთარი კანონმდებლობა და სასამართლო მათ არ ექნებათ. ისინი იქნებიან საქართველოს მოქალაქენი და ექვემდებარებიან ჩვენი ავტონომიის კანონებს. უმიწაწყლო ერს ვერავითარის საშუალებით ვერ გამოუჭრით ისეთს ავტონომიას, რომელიც მიწაწყალზეა დაფუძნებული.

საქართველოში ოსებს, სომხებს ექნებათ კულტურული ავტონომია, ხოლო საკუთარს სამშობლოში კი (ოსებს თერგის ოლქში, სომხებს—ერევანსადა ალექსანდროპოლსა და ოსმალ-

ეთის სომხებში) ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია, როგორც ჩვენ.

შერეული ავტონომია. ზოგან ორი ერი ისეა ერთი მეორეში არეული, რომ არც წმინდა ტერიტორიალური ავტონომია განხორციელდება აქ, არც მარტო კულტურული. ყოველ ერს ასეთ ალაგას აქვს კულტურული ავტონომია, დანარჩენში კი ყოველი მათგანი ექვემდებარება, ეკედლება თავისი მშობელი ერის ტერიტორიალურ ავტონომიას.

მაგალითად ბორჩალოში თათრები, სომხები და ქართველები არეული არიან. ამათ რომ შერეული ავტონომია მიიღონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ამათ ექნებათ ბორჩალაში კულუტურული ავტონომია თავ თავის ენაზე. დანარჩენში კი ქართველები ექვემდებარებიან საქართველოს პარლამენტს, სომხები სომხეთისას, თათრები თათრებისას.

32
3 661

ფასი 25 კ.

წიგნის გამყიდველთ დაეთმობა 100—20 მ, გასაგზავნი ხარჯი — წიგნის გამწერლებისაა.

საწყობი თბილისში „ხალხის თავისუფლების“ რედაქციაში. ფოსტით: Тифлис, ред, „Халхис Тависуфлеба“ Іос. Имедашвили.

— —

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

სალიტერატურო-სათეატრო კვირეულ ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

წლიურად 10 მან. მკათათვიდან — 5 მ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში, ბაზრის ქ. № 20, სახ. არჯევანიძის, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, მეწიგნეების რიგზე. ფოსტით: Тифлис, Ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили. აქვე მიიღება ხელის მოწერა საქართველოს სოციალდემოკრატიულ (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება-“ზე

წლის ბოლომდე 5 მან.

რედაქ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.